„მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

# ნიკოლაძის გზით



ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი №8 (286) 26 აგვისტო, ოთხშაბათი, 2019 წელი; ფასი 1 ლ.



30 წელია ჩვენი არჩევანი არ ამართლებს, ბოლო იმედი ერთ-პარტიულობის დასასრულია

## 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები-საით წაიყვანს ქვეყანას პოლიტიკური აისბერგი?

სახელმწიფოს სახელმწიფო კაცები უნდა მართავდნენ.
ჩვენ რომ სამშობლო გვყვარებოდა...

მე-2გვ

## ფოთში 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს

მე-4 გვ



ომი გრძელდება



## 2008 წლის აგვისტოს ომი - გაკვეთილები დამპყრობლის და „მოყვარე" ხელისუფლების გამო

რუსეთმა საქართველო დაიპყრო,მაგრამ აფხაზეთი-ოსეთი არ დაიპყრო?

მე-3 გვ

## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ფოთელ მეთევზეებს შეხვდა

მე-4 გვ





## ფოთის მუნიციპალიტეტში ტორფის მოპოვების თემა საჯაროდ განიხილეს

მე-4 გვ

## დაიწყო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის შესწავლა

მე-4 გვ





## ფოთში, ზუგდიდში, გორში, თელავში, ქუთაისსა და რუსთავში 100 ახალი ავტობუსი იმოძრავებს

მე-4 გვ




## „ცოტნეობა" 2018 ზნეობრივი გმირობის უკვდავი მაგალითი

დღესასწაულს - ხალხი მართავს...

მე-4გვ

## ქვეყანა ერთია, დაე, მისმა სიყვარულმა გაგვაერთიანოს!



გზა თავისუფლებისაკენ
(ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ)

მე-3გვ

გამოსათხოვარი



„მიდიხარ, ტკბილი გქონდეს მგზავრობა"

## კარგი მწერალი და მოქალაქე

რევაზ ჩხარტიშვილი, კრიტიკოსი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე მშობლიურ ქალაქ ფოთს და თანაქალაქელებს ეთხოვება

მე-3გვ

ფოთელ მშენებელთა უხუცესი გვარდიის ერთ-ერთ (თუ არა ერთადერთ) ბრწყინვალე წარმომადგენელს, ნაპო თოდუას ვულოცავთ კარზე მომდგარ 85 წლის იუბილეს



მე-6გვ

## მდინარე კაპარჭას გაწმენდითი სამუშაოები დაიწყო

მე-4გვ



ფიქრები ქართულ მედიაზე

## ქალაქმა უნდა იზრუნოს საზოგადოებრივი მასმედიის შექმნაზე

ქართული ჟურნალისტიკა პოლარიზებულია, არ არსებობს



დამოუკიდებელი მედია,რომელიც დაიცავს სახელმწიფო ინტერესებს და არა ხელისუფლების, ან რომელიმე პარტიის

მე-5გვ

# ,,ცოტნეობა”- 2019
# ზნეობრივი გმირობის უკვდავი მაგალითი
## დღესასწაულს ხალხი მართავს




ლი მეხსიერება უნდა უფრთხილდებოდეს

750 წლის შემდეგ პატივს მივაგებთ იმ მარადიულ ფენომენს თავდადებისა, რომელმაც აქამდე მოიყვანა საქართველო, როგორც სახელმწიფო, ერი, ქვეყანა. ,,ცოტნეობა” ,,დიდგორობას” იმართება, რა დიდებული დამთხვევაა - სულიერი, ზნეობრივი და საბრძოლო გმირობის.

საქართველო, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ამ ფაქტორებს წინა პლანზე უნდოდა წამოწევა, მაგრამ ასე არ მოხდა, დაიწყო ქვეყნის ქონების დატაცება-დაპატრონება და სახელმწიფოებრიობის მოშლა ისევ ქართველების მიერ. ქვეყანა სულიერებამ, კულტურამ უნდა გადაარჩინოს და იგი საუკუნეებიდან მოდის-ეს არის საქართველოს ღვთიური გზა.

12 აგვისტო, ფოთი, სამეგრელოს მოედანი, ცოტნე დადიანის მონიმენტური ქანდაკება- ლეგა არწივი მაღლა - ეწევა მხედარს.

ტრადიციულად ,,ფაზისის” საერო-სამეცნიერო აკადემიის წევრები მის პრეზიდენტის, ბატონ **ნუგზარ ნადარაიას** ხელმძღვანელობით ამ დღეს გვირგვინით ამკობენ ძეგლს, რითაც პატივს მიაგებენ წმინდანის უკვდავებას.

სამახსოვრო სურათები,-მარადიული ფოტოები, გაჩერებული დრო...

შემდეგ ,,ფაზისის” აკადემიის წევრებმა ქრისტეს აღდგომის ტაძარში გადაინაცვლეს, სადაც ცოტნე დადიანის ხატთან სურათები გადაიღეს და სანთლები დაუნთეს დიდ წინაპარს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ,,ფაზისის” აკადემიიის პრეზიდენტის, ბატონ ნუგზარ ნადარაიას ინიციატივით წმინდანად შერაცხეს ცოტნე დადიანი და გიორგი ჭყონდიდელი.

ზნეობრივ გმირობას, თავგანწირვას, საუკუნეები გვაცილებს, რა შორს და რა ახლოსაა წარსულიცოტნე დადიანი-ვალმოხდილი, მისი უკვდავი სული ტრიალებს დაღლილ საქართველოში-სამშობლოს სიყვარული რომ მიავიწყდათ, არადა, როგორ იბრძოდნენ საქართველოს ერთიანობისთვის. დღეს ერთიანობა, ერთი მიზანი, ქვეყნის გამარჯვების აუცილებელი პირობაა, ერი, რომელიც წარსულს ივიწყებს - კვდება! ჩვენც სიკვდილის პირას ვართ, სულს ვღაფავთ- ,,ენა მამული, სარწმუნოება” სამივე მიმართულებით მიდის შეტევა შინაური მტრების მიერ, თითქოს ეს უფრო ნაკლები ბრძოლაა, ვინემ ტერიტორიების დაბრუნება, ტერიტორიებს კარგა ხანია ტოვებენ ქართველები, სწორედ იმიტომ, რომ სულიერება დამარცხდა - გვიჭირს ამის აღიარება.

საქართველოში ცოტნეს სულისკვეთება არ უნდა დაიკარგოს.

ღმერთმა გვიმრავლოს ცოტნეიდელები - სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ქართველები!

ფოტოები ზვიად ჯაჯავასი

ზ. აბრალავა

# 30 წელია ჩვენი არჩევანი არ ამართლებს, ბოლო იმედი ერთპარტიულობის დასასრულია
## 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები-საით წაიყვანს ქვეყანას პოლიტიკური აისბერგი?
## სახელმწიფოს სახელმწიფო კაცები უნდა მართავდნენ.
## ჩვენ რომ სამშობლო გვყვარებოდა...

30 წელია ქვეყანა არჩევნებიდან არჩევნებამდე ცხოვრობს, არ წყდება პოლიტიკური ბატალიები, საარჩევნო კამპანიად იქცა მთელი ეს პერიოდი. ხალხი თავისივე არჩვანის გამო თავბედს იწყევლის-სამოქალაქო ომი, ომი რუსებთან, ომი ერთმანეთთან, ბრძოლა ხელისუფლებისათვის, რაც ქვეყნის სიმდიდრის დაპატრონების და ძარცვის საშუალებად იქცა. ღალატი, დაუნდობლობა, პირადი ინტერესების გამო ერთი რუსეთისაკენ გარბის მეორე ამერიკისკენ - როგორმე სარგებელი ნახონ. გლობალური პროცესები თავისი გზით მიდის, ამ გიგანტებს თავისი ინტერესები აქვთ - მით უფრო გეოსტრატეგიულად გამორჩეულ ქვეყანაში. შეიძლება ამ პროცესებს შევეწიროთ, თუ არ გავერთიანდებით ქვეყნის გადასარჩენად. ჩვენ რომ სამშობლო გვყვარებოდა, ერთი მიზანი გვქონოდა, ბევრი უბედურება აგვცდებოდა. ,,ნაცების” ხელისუფლება დემოკრატიას ამოფარებულ რეჟიმად, კრიმინალად იქცა. ეს ყველაზე საშიში მოვლენაა ქართულ პოლიტიკაში. ღირსებააყრილი ხალხი მხოლოდ საარჩევნო საშუალებაა, ვიღაცამ უნდა გაიმარჯვოს. მაგრამ ხელისუფლებას აკლია ყველაზე მთავარი -სახელმწიფოებრივი აზროვნება. ამიტომ ასეთი დემოკრატია ვერ გახდა პროგრესის წინაპირობა, პირიქით, ზღვარი დაედო ადამიანთა თავისუფლებას-დევიზით ყველანი ციხეში. ეს იყო თავისუფალ ადამიანთა თავისუფლების მოსპობის თავისუფლება მავანთა ხელში. ქვეყანა ორად გაიყო. არადა, იგი ერთია, იცვლება ხელისუფლებები, მთავრობები, პარლამენტი, ხალხის მდგომარეობა კი უცვლელია. მთელი ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების მიზანი ერთია, როგორმე ეს მთავრობა მოვიცილოთ. ამ პროცესში იკვეთება ქართული პოლიტიკის ხრიკები, ერთი პარტია სულდგუმლობს და სარგებლობს მეორე პარტიის უვარგისობით, უბედურებით, როგორც მტრის ხატი. ვინ წაიყვანს ქვეყანას ნამდვილი დემოკრატიის გზით ბედნიერი მომავლისაკენ, ასეთი ძალა არ ჩანს, პირიქით-ქვეყანას ისევ უკან ექაჩებიან ნაციონალი აქტივისტები.ჩვენ გავიარეთ სპეკულაცია პატრიოტიზმით, რასაც მოჰყვა ომი რუსეთთან. სხვაგვარად იგი ვერ შემოვიდოდა საქართველოში. ომმა სააკაშვილს მაშინ სულზე მოუსწრო და დღესაც ამისთვის იღწვიან”.

ასეთი ცხელი პოლიტიკური გაზაფხული ჯერ არ ყოფილა საქართველოში. გავრილოვის სცენარი-სახელმწიფო გადატრიალების საბაბი, სავალალო შედეგებით, რუსების გინება პარტიული ტელევიზიის ჟურნალისტების მხრიდან. სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის კიდევ უფრო დაძაბვა. ანაკლიის პორტის ირგვლივ ატეხილი ამბები, გაუგებარი პერსპექტივა, რასაც ზოგიერთი ახალი როკის გვირაბად მიიჩნევს. ასევე თავსატეხია სასამართლოში მიმდინარე პროცესები. სამართლიანი სასამართლო ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული. ჟურნალისტების ჩართულობა, პოლიტიკურ პროცესებში ქვეყნის საზიანოდ. რუსეთის თავგასულობა ჩვენს სახელმწიიფო საზღვრებთან, რამდენადაც ხელისუფლება არ ამწვავებს ამ საკითხს - რაც არასწორია. დღეს იქ, საზღვართან მთელი საქართველო უნდა იდგეს და არა ფიქტიური ოპოზიცია. რუსეთს არ უნდა ერთიანი და ძლიერი საქართველო და ეტყობა არც ჩვენ გამოგვდის - ომი უნდა გაგრძელდეს თუნდაც იდეური. მტერს მტერი უნდა ერქვას და მოყვარეს-მოყვარე. როდესაც ქვეყანა ახალი ძალის მოლოდინშია, პარტიას ქმნის განაწყენებული ბანკირები, რომელთაც შავი დღე აყარეს ქართველ ხალხს. ახალ ტელევიზიებს ქმნიან ბანდიტები, ვითომ ჟურნალისტები. ხელისუფლებისკენ ისევ მოიწევენ ხალხის ნაძარცვი ფულით გამდიდრებული ,,ნაცები”. სომეხი სააკაშვილი მსოფლიოს გამორჩეულ მეგაპოლისებში ყიდულობს აპარტამენტებს. არ ისვენებენ მარადმწვანე პარტიები, ვინც ერთ დროს ვითომ მიშას ებრძოდა, დღეს მის გვერდითაა, აქებს და ადიდებს ,,რუსთავი 2”-ს და მას ქვეყნის ყოფნა-არყოფნასთან და დემოკრატიის მომავალთან აიგივებს. რამდენადაც გასაოცარი არ უნდა იყოს ამ პოზიციაზეა მთავრობის ყოფილი მეთაურები. უნდა დამთავრდეს ერთპარტიულობა, რაც სააკაშვილის რეჟიმმა შექმნა და დღემდე გრძელდება. უბედურება ისაა, რომ საქართველოში ვერ ჩამოყალიბდა სტაბილური პარტია. არადა, მისი რიცხვი 200 აჭარბებს, თუმცა, დიდ ქვეყნებში 2-3 პარტიაა გამოკვეთილი. ,,ოცნებას” შეეძლო ასეთ პარტიად ჩამოყალიბება, რომ ,,ნაცები” მტრის ხატად კი არ გაეხადა, კოჰაბიტაციით გაძლიერების საშუალება მიეცა, არამედ გაესამართლებინა. ,,ნაცებთან” არ ვითანამშრომლებთო, არადა, სწორედ ესაა თანამშრომლობა. ,,ნაცები” მალე იქეთ გაასამართლებენ. 20 ივნისის მოვლენებმა აჩვენა, რომ ვითომ გამოსწორებული ბოკერია იგივე ძალაა და ხელისუფლებისათვის ბრძოლაში იმ ღამეს ,,ნაცების” გვერდით იდგა. 30 წელი არცთუ ბევრი დროა, მაგრამ ანალიზისთვის საკმარისია-საით მივდივართწინ თუ უკან?



ყველაფერი შედეგით იზომება. ხომ არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი? ეს აქსიომაა და გვერდს ვერ აუვლით, ჩვენმა ვითომ დემოკრატიამაც თავისი მწარე ნაყოფი გამოიღო. დემოკრატიის სახელით მივიღეთ დემონოკრატია და ნეოფაშიზმი. 9 წლიანი რეჟიმის შედეგებს დღესაც ვიმკით მრავალი პარამეტრით.

პოლიტიკური პროცესები, მაჟორიტარული არჩევნები ორპოლუსიანობას დაარღვევს. მით უფრო ნაცების ბანდიტურ საქმიანობას ,,რუსთავი 2”-ის მიტაცებასთან დაკავშირებით ფარდა აეხადა, ეს უნდა იქცეს შემობრუნების წერტილად, სხვა ბიზნესმენებსაც უნდა დაუბრუნდეს თავიანთი საკუთრება. აღდგეს სამართლიანობა, და იქნებ ეს ნეოფაშისტური პარტიაც სტრასბურგმა გაასამართლოს, რახან ჩვენ ვერ ვახერხებთ ამას. საქართველოს მედიაში უზნეობას მყარად ეყრება საფუძველი, ჟურნალისტები დედაზე იგინებიან პირდაპირ ეთერში, რასაც უსმენს დიდი და პატარა, და, თურმე, არ არსებობს რაიმე სამართლებრივი პროცედურა მის აღსაკვეთად. საზოგადოების შეურაცყოფა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და ამას, თურმე, ზიანი არ მოქვს, არადა, მეტი ზიანი რა გინდა. ამ დროს წვრილმანი ხულიგნობა თურმე უფრო მეტად აზიანებს ქვეყანას.

ჩვენ რომ ღმერთი გვყავრებოდა ბევრი რამ აგვცდებოდა. ქრისტიანობამ მოიყვანა აქამდე ეს ქვეყანა, თვითმყობადი და დამოუკიდებელი. რწმენა აერთიანებდა ერსა და ბერს.

ღმერთო ქართველებს შეაყვარე ერთამნეთი - ვედრებად მხოლოდ ეს დაგვრჩენია. სადაც ღმერთია-იქ სიყვარული და გამარჯვებაა. ჩვენ ისიც ვერ გავიგია, რომელი წყობა გვინდა. სოციალიზმი თუ კაპიტალიზმი? ერთიც და მეორეც კარგია თუ ხელისუფლება ხალხის საქმეს აკეთებს. ამიტომ ,,ჯერ წესია წესი და მერე საქმეა საქმე”, ჩვენ კი ეს წესი არ გვივარგა, წყობა კი არაფერშუაშია, რამეთუ წინ საკუთარი საქმე გვიყენია. ჩვენ რომ ქვეყანა გვყვარებოდა, ჩვენ რომ ღვთის რწმენა გვქონოდა არ დავერეოდით ერთმანეთს. არ მოვკლავდით პირველ პრეზიდენტს, არ ჩავაბარებდით აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, არ გავანიავებდით სახელმწიფო ქონებას. შევინარჩუნებდით ეკონომიკას და ნიჭიერი ახალგაზრდობა საზღვარგარეთ არ წავიდოდა. სამწუხაროდ, ყოველი ხელისუფლება ცუდად ამთავრებს მოღვაწეობას და დემოკრატიაც თანდათან უფასურდება, ზოგჯერ ანიგდოტის დონეზეც. წინათ გშიოდა, მაგრამ ვერ იყვირებდი, ახლაც გშია და იყვირე რამდენიც გინდა. აი, დემოკრატიის ჩვენებური გაგება. უბედურება ის არის, რომ ჩვენი არჩეული ბოლომდე გადის საარჩევნო ვადას გინდაც დააქციოს ქვეყანა. არ არსებობს გაწვევის მექანიზმი, ასეთმა დემოკრატიამ ჩიხში შეიყვანა ქვეყანა.

ესაა დემოკრატიის ხაფანგი, რამაც სიღარიბეში ჩაითრია მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომლებიც ტოვებენ ქვეყანას.

წინ არჩევნებია და საკმაოდ გაურკვეველი სიტუაცია, მალე მთავრობაც შეიცვლება, ვარაუდობენ ბატონი გიორგი გახარიას გაპრემიერებას, რომ გარკვეულად მოგვარდება ურთიერთობები რუსეთთან, ისე როგორც განვლილმა პერიოდმა აჩვენა, მთავრობის ცვლილებებს საგრძნობი შედეგები არ მოყოლია. იქნებ სისტემაა შესაცვლელი და არა მინისტრები.

მოკლედ, არავინ იცის საით წაიყვანს ამ ქვყანას პოლიტიკური აისბერგი.

ზ. აბრალავა

ომი გრძელდება

# 2008 წლის აგვისტოს ომი - გაკვეთილები დამპყრობლის და „მოყვარე" ხელისუფლების გამო რუსეთმა საქართველო დაიპყრო, მაგრამ აფხაზეთი და ოსეთი არ დაიპყრო? ახლაც ვის უნდა ომი და ნგრევა?



თუ რატომაა ერთიც და მეორეც საქართველოს და ქართველი ხალხის მტერი, ძნელი გასაგები არაა. რუსეთმა საუკუნეების წინ დაიპყრო სრულიად საქართველლო, 2008 -ში თითქმის სანახევროდ, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ცოტა ჩვენ წავეშველეთ უგუნურებით და წინდაუხედაობით, რამდენადაც ძნელი დასაჯერებელია სააკაშვილი-ბოკერიას სამშობლოს სიყვარული არ ასვენებს და დღედაღამ ხმალზე უჭირავთ თვალი, აქაოდა ჩვენ მიწას არავის დავანებებთ, არადა, თუ რამ გაგვაჩნდა ომამდე, რუსებს მიყიდეს.

მოკლედ, გვიანია ახლა ამაზესაუბარი, შეიძლებოდა თუ არა ამ ომის თავიდან აცილება, ჩვენ ჩვენს მიწაზე ვიბრძოდით, მაგრამ ჩვენს ტერიტორიაზე ჩვენებისთვის არ უნდა დაგვეშინა გრადები, რაც არ უნდა პროვოკაციაზე მიდიოდეს მტერი, ასეთ პროვოკაციაზე ის კიდევ წამოვა, მაგრამ რაღაც ჩვენ უნდა გავთვალოთ და ჭკუით უნდა ვაჯობოთ. ქვეყანა უნდა დავალაგოთ, თორემ დარჩენილი ტერიტორიებიდან გარბის ხალხი, ქვეყანა უნდა გავაერთიანოთ, გავაძლიეროთ, ისე, რომ მტრებმა 2-3 დღეში არ შემოაღწიონ ქვეყანაში. ბევრი თავსატეხი გავუჩინოთ მეგობარი ქვეყნების დახმარებით და მონაწილეობით. რუსებმა საქართველო დაიპყრო, მაგრამ აფხაზეთი-ოსეთი არ დაიპყრო-ხომაა ეს პარადოქსი, რა კარგ დღეში არიან?! სააკაშვილმა ომი დაიწყო თავი რომ გადაერჩინა, რუსსაც ხომ ეს უნდოდა და წლების წინ ემზადებოდა.

ომი გრძელდება, დღესაც ადამიანები ვერ ბრუნდებიან მშობლიურ კერაზე, ახალგაზრდების უამრავი სისხლი ცას შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს.

# ქვეყანა ერთია, დაე, მისმა სიყვარულმა გაგვაერთიანოს! გზა თავისუფლებისაკენ (ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ)



ჩვენს ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულმა ეროვნული ინტერესების საზიანო პოლიტიკურმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ, ცხადყო და ნაღდად დაგვანახა თუ, როგორ მიზანმიმართულად ანგრევს და მიწასთან ასწორებს, (ჩვენი გაუთავებელი შუღლისა და ქიშპის გამო). ისტორიულად დაუძინებელი მტერი რუსეთის იმპერია, რომელიც, როგორც წინათ, ასევე დღეს აშკარა შეტევაზე გადმოსული, გვემუქრება საქართველოს სახელმწიფოებრიობის სრულ ჩამოშლას და კრასნოდარის გუბერნიად გადაქცევას. (რუსეთის დუმა).

აქედან გამომდინარე ჩავთვალე საჭიროდ და უფრო მნიშვნელოვან საქმედ, (ჩემი სამშობლოს ინტერესებიდან გამომდინარე) დროებით გადავდო ისტორიული კვლევების პუბლიკაცია და ქვეყანაში შექმნილი მეტად საგანგაშო მდგომარეობის საკითხებს მეტი ყურადღება დავუთმო, რომ ჩვენ, ამ ქვეყნის შვილებმა, შევძლოთ საერთო მტრის წინაალმდეგ გაერთიანება და ჩვენი სამშობლოს დაცვა გლობალური გავრილოვებისაგან.რამეთუ, გავრილოვი, სლუცკი, ჟირინოვსკი, ესენი არიან კრებითთა სახე რუსული იმპერიული პოლიტიკის, რომლებიც არად აგდებენ დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობას, ქართველი ერის ნებას, ოყოს დამოუკიდებელი და თავისუფალი. ასევე არად აგდებენ ჩვენს კულტურას, ისტორიას და საერთოდ, აღარ მივაჩნივართ ერად!არამედ რაღაც გაუგებარ წარმონაქმნად ,,არსებობს ლენინსტალინის თეორია, რომ ქართველი ერი, როგორც ასეთი, შეიქმნა და ჩამოყალიბდა ერად მეცხრამეტე საუკუნეში. რომ მანამდე იგი თურმე არც ერი ყოფილა და არც არსებობდა", ზვ. გამსახურდია ,,საქართველოს სულიერი მისია". სხვა ,,სიკეთე" (დამოკიდებულება). რუსეთს ქართველი ერის მიმართ არასოდეს ჰქონია. ეს არის სახელმწიფო ველური აზროვნებისა და მტაცებლური ჟინით შეპყრობილი, რომელმაც კიდევ ერთხელ, (მისთვის უკანასკნელ დღეებში) შემოიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე, რაც აისახა გუგუტიანთკარის მიტაცებისა და ძირითადი ქართული მოსახლეობის აყრა და მათი, მასიური გასახლება საკუთარი მიწა-წყლიდან, (რაც არსებული ხელისუფლების სრულ უუნარობაზე მიუთითებს). ბუნებრივია, არც ჩვენი თანამეგობარი სახელმწიფოები, როგორც ევროპაში, ასევე დასავლეთში არ გამოირჩევიან მკვეთრი განცხადებებით ოკუპანტი რუსეთის მიმართ და მათ შესაკავებლად არავითარ ქმედით ღონისძიებებს არ ატარებენ. მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის განცხადებებით შემოიფარგლებიან. საქართველო კი, როგორც წარსულში ისევ მარტო დარჩა პირდაღებული გველეშაპის პირისპირ. ამიტომ ხსნა, მხოლოდ საკუთარ თავში უნდა ვეძიოთ და არა სხვაგან! მხოლოდ ჩვენს ერთობაშია ძალა ხსნისა! და არა, ცრუ თანამეგობრებში, რომლებიც პირველები (თავქუდმოგლეჯილები) გარბოდნენ საქართველოს ოკუპაციის ჟამს. მიუხედავად მსოფლიოს სიმხდალის, საქართველო, მჯერა, კვლავ დადგება ფეხზე და ღირსეულად შეინარჩუნებს (მიუხედავად მოჭარბებული ურდოებისა) თავის ეროვნულ კულტურასა და ისტორიულ მემკვიდრეობას. დარწმუნებული ვარ ვერას დაგვაკლებს სულიერად გამოფიტული, ღვთისაგან განდგომილი და დასაღუპად მიმავალი რუსეთის იმპერია, რომელიც დღემდე არ იწოდება ღირსეულ ერად! არამედ, რაღაც (მართლაც) გაუგებარ, ველურ წარმონაქმნად. აი, რას ამბობს მათ შესახებ ალ. ბელი: ,,მაშინ, როდესაც ქართველი ერი უდიდეს კულტურას-ქრისტიანობას ეზიარა რუსები ხეებზე იჯდნენ". ასევე მათი დიდი მეფის პეტრე პირველის სიტყვები: ,,ეს არის ბრბო, რომელიც ხალხად მინდა ვაქციო, რაც შეუძლებელია!" ამასთან დაკავშირებით არავის უნდა გაუჩნდეს იმის ილუზია, რომ რუსეთი მეგობარია და, რომ რუსეთი მართლმადიდებელი ქვეყანაა-არამც და არამც! რუსეთის მმართველი პოლიტიკური ,,ელიტა" ქრისტიანობას ამოფარებული დღემდე ერთ-ერთი უდიდესი მასონური ორგანიზაციაა მთელ იმპერიაში და არამარტო რუსეთში. მისი ფესვები, ძალიან შორსაა გასული, რომელსაც ესტაფეტის გადაცემის პრინციპით დღეს მას მართავს მასონთა წარმონაქმნი კაცობრიობის მტერი ვლადიმერ პუტინი. სამწუხარო კი ის არის, რომ გარკვეული ნაწილი ე.წ. ქართული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ღია ალიანსში იმყოფებიან რუსეთის რეაქციულ ძალებთან, რომლებიც გვარწმუნებენ, რომ რუსეთი მეგობარია. და რომ რუსეთი დაგვეხმარება მის მიერ მიტაცებლი ჩვენი ისტორიული მიწა წყლის დაბრუნებაში. ოღონდ დამპყრობელს, ოკუპანტს ნუ დაუძახებთ. მათთან დიალოგია საჭირო. უნდა დაველაპარაკოთ . ანუ რას გვთავაზობთ იმპერიის კარზე დაცემულნო! როგორც 70 წლის მანძილზე, (იძულებით) ბაბაიას ძახილი გავაგრძელოთ? (რომელიც არც მაშინ შეჩერებულა), არა ბატონებო! მიუხედავად თქვენი დაუოკებელი სურვილისა, საქართველო არ დაიჩოქებს რუსეთის იმპერიის წინაშე და არც ბაბაიას დაუძახებს რუსეთს. რადგან ბაბაიას ძახილი, მხოლოდ მონის გამოძახილია, რომელმაც არ იცის თავისუფლების ფასი. ჩვენ კი მუდამ თავისუფალი ერი ვიყავით. მიუხედავად მრავალჯერ დაპყრობისა და ჯვარზე გაკვრისა. (ისიც შინაური მტრების ღალატის მიზეზის გამო, რომელიც მოუშორებელ ჭირად (დღემდე) თან დაგვდევს). აქედან გამომდინარე მოგმართავთ თქვენ! ამ ქვეყნის ურგ შვილებს: ,,ნუ ჩაყვებით დასაღუპავად წარმავალ ურჩხულს ჯოჯოხეთში. მინდა კიდევ ერთხელ შეგახსენოთ, რომ რუსეთს არასოდეს ყოლია კეთილი ნების მეფე საქართველოს მიმართებაში, რუსეთი მუდამ იყო და დღემდე რჩება ჩვენი ქვეყნის დამპყრობლად! მისი სწრაფვაა, (მისთვის უკანასკნელ ჟამს) საქართველოს პირისაგან მიწისა აღგვა, ხოლო ვინც გადარჩება მათი სრული ასიმილაცია. სხვა ხალხებში. ასეთია საბოლოო მზაკვრული გეგმა რუსეთის იმპერიისა, უქართველო საქართველო!. რასაც ღმერთი ნამდვილად არ მოასწრებს. მასზე ახდება დიდი რუსი წმინდანის სერაფიმ საროველის წინასწარმეტყველება; რუსეთის ხელისუფალს!. რუსეთი დაინგრევა და თავად აღიგვება მიწისა პირისაგან, (რასაც იხილავს ყოველი თვალი. ივერია კი აღსდგება, მთელი თავისი ღვთიური დიდებით და ბრწყინვალებით აღდგომის წინა დღეს!. აქედან გამომდინარე მოგმართავთ თქვენ: ნუ ეძებთ მშვიდობას იქ, სადაც სიკვდილია-ეს რუსეთია!

ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ მშვიდობას იქ, სადაც უფლის სახლია, ეს ჩვენი სამშობლო ივერიაა! და ჩვენ, ყველამ ერთად, როგორც 1989 -1990 წლებში, დღესაც ისეთივე ერთობით განვიმსჭვალოთ ჩვენი სამშობლოს ეროვნული - სარწმუნოებრივი იდეის გარშემო, რასაც ნათელს ყოფს ზვიად გამსახურდიას მიმართვა 1990 წლის 29 ოქტომბრის მთავრობის სასახლის წინ გამართულ საზეიმო მიტინგზე:

,, მთელი საქართველო დაირაზმა ჩვენს გარშემო, მეგობრებო, ეროვნულმა მოძრაობამ მიიღო საყოველთაო ხასიათი. ბევრმა ახლა დაინახა, რომ აუცილებელია ამ არჩევნების გარშემო დარაზმვა. ნუ ვიტყვით, რომ ეს მხოლოდ ,,მრგვალმა მაგიდამ" გააკეთა მხოლოდ და იმ პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ,,მრგვალ მაგიდაში" შედიან, ეს იქნებოდა უდიდესი უსამართლობა. ,,მრგვალი მაგიდა" წვეთია ზღვაში იმასთან შედარებით, რაც ჩვენ ვიხილეთ საქართველოში ამ დღეებში. ეს იყო ნამდვილად მთელი ერის უდიდესი წარმატება, ამიტომ ჩვენ არ ვისაკუთრებთ ამ გამარჯვებას და არ ვთვლით, რომ ჩვენ პირველნი ვართ ამაში. ამასთან ერთად მოგახსენებთ, ჩემო საყვარელო და ძვირფასო ადამიანებო, რომ მიუხედავად იმისა, რაც მოხდა ეროვნულ მოძრაობაში, ჩვენი ლტოლვა-ჩვენი უპირველესი ლტოლვაა ისევ გამთლიანება, ისევ აღდგენა ერთიანობისა ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციასთან. ჩვენი უმთავრესი მიზანია ეროვნული შემწყნარებლობა, შერიგება, სიყვარული, ურთიერთ გაგება.

იმპერიულმა ძალებმა დაქსაქსა ეროვნული მოძრაობა, სხვაგვარად ისინი ვერ მოახერხებდნენ გამარჯვებას. მაგრამ ჩვენც სწორედ ამითვე უნდა დავუპირისპირდეთ. სადაც იმპერია გათიშავს - იქ ჩვენ უნდა შევაერთოდ, სადაც იმპერია იწვევს შუღლს, ჩვენ სიყვარული უნდა ვთესოთ, სადაც იმპერია სიძულვილს თესავს-ჩვენ ურთიერთგაგება უნდა აღვადგინოთ.

აი, ეს არის ჩვენი მიზანი.

იმ ადამიანს, რომელიც გუშინ იმპერიას ემსახურებოდა, გადავუხსნით გულს, მივესალმებით, მოვიდეს, დადგეს ჩვენთან ერთად-ვიყოთ ძმები. არ გვინდა არაფრის დამახსოვრება, თუნდაც რომ დაეშავებინოს ჩვენთვის, ველანძღოთ, ნუ ჩავიდებთ გულში ბოროტებას, ნუ ჩავიდებთ გულში ბოღმას, ეს არის ჩვენი დევიზი.

მართალია კომპარტია დვამარცხეთ არჩევნებში, მაგრამ მე რუსთაველის მიმდევარი ვარ, როგორც ყოველი თქვენთაგანი და საერთოდ ქართველი ერი, და ჩვენი კრედო , ჩვენი უდიდესი კრედო გადმოცემულია ,,ვეფხისტყაოსანში". ესაა უდიდესი შემწყნარებლობა, უდიდესი შემრიგებლობა და სიყვარული ქრისტიანული, რომელიც გამოხატულია შემდეგ სტრიქონებში:

,,ბრძენთა ვინმე მოსწავლემან,
საკითხავსა ესე ვპოვნე,
ესააო მამაცისა მეტისმეტი სიგულოვნე,
ოდეს მტერსა მოერიო, ნუღარ მოჰკლავ, დაიყოვნე
დგინდეს სრული მამაცობა, ესე სიტყვა დაიხსომე,"

აი, ეს არის ჩვენი ცხოვრების წესი. ამ გზით მიდიოდა ჩვენი უდიდესი წმინდანი, ჩვენი უსაყვარლესი ადამიანი **მერაბ კოსტავა**, ამ გზით მიდიოდა ცხოვრებაში და ამიტომ აღზევდა იგი მთელ საქართველოზე და დაჰნათის ზეციური საქართველოდან ჩვენს მოძრაობას. დღევანდელი გამარჯვება - მისი გამარჯვებაა უწინარეს ყოვლისა და როგორც იგი ვიდოდა ცხოვრებაში, როგორი გზითაც იგი მიდიოდა, როგორც იგი იყო განწყობილი თვით მტრების მიმართ, ასევე ვიქნებით ჩვენც! ასევე ვიქნებით და დავამტკიცებთ, რომ ჩვენ მისი ნამდვილი მიმდევრები ვართ. ყველანი დავამტკიცებთა ამას!

არ დავმალავ და ვიტყი, ბევრია ამ ხელისუფლებაში, რომელიც კრემლს ემსახურება, თვით აქაც ბევრია ჩვენი მხარდამჭერი, ნუ დავხუჭავთ ამაზე თვალს, ნუ უკუვაგდებთ მათ. პირიქით მოვიახლოვოთ, ჩავაყენოთ ეროვნული მოძრაობის და ეროვნული ძალების სამსახურში. ეს არის მთავარი მიზანი ახლა, ამაზე უნდა ვიმუშაოთ. რათა იმპერიამ ვერ მიაღწიოს ისევ განხეთქილებას, ვერ შეინარჩუნოს ის განხეთქილება, რომელიც დათესა თუნდაც იგივე კონგრესთან; იმ ხალხთან, ვისთანაც პოლემიკა გვაქვს. მაგრამ ვაი რომ ამ იმპერიისაგან მოწამლულნი ვართ ყველანი და ვერ განვთავისუფლდით ამ ჩვევისაგან. საკმარისია ურთიერთის მიმართ გამოვთქვათ განსხვავებული აზრი, რომ მტრებად ვიქცევით. არ არის ეს ლამაზი, გამოთქვას სხვამ ჩვენს შესახებ ცუდი აზრი, გამოთქვას ცუდი შეხედულება,- მოდით ნუ გაუხდებით სასტიკ მტრად, ნუ დაუპირისპირდებით. საქმით დავარწმუნოთ, რომ ის ცდება! მოდით, აი ასე ვიდგეთ ჩვენ ცხოვრებაში, მოდით ნამდვილი ,,ჰაიტ პარკი" შევქმნათ, სადაც თვით უკიდურესად მწვავე შეხედულებაც კი ჩვენზე, არ იქნება ჩვენთვის საწყენი-თუნდაც უარყოფითი შეხედულება. აი, ასე გაიმარჯვებს დემოკრატიის იდეალები საქარტველოში.

მე იმას არ ვამბობ, რომ ღალატი ვაპატიოთ ვინმეს. მაგრამ დავამკვიდროთ მეტი შემწყნარებლობა გამოთქმული აზრისადმი, მეტი სიყვარული მოწინააღმდეგისადმი, მეტი ურთიერთ გაგება.

უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანი ზოგჯერ ცდება. ზოგჯერ უნებლიედ, ზოგჯერ ცდება ემოციებით და იმ წუთისთვის და წამისთვის, როდესაც მან უარყოფითი პოზიციოა გამოავლინა ჩვენს მიმართ მას ნუ შევიძულებთ, ეს ჩვენი დევიზი უნდა იყოს! და მხოლოდ ამ გზით მივაღწევთ საქართველოს ერთ მთლიან მუშტად შეკვრას და იმპერიული ძალებისადმი დაპირისპირებას. სხვაგვარად არაფერი გამოგვივა.

ძალიან დიდი, დიდი ბრძოლა მოგველის. ბრძოლა არ დამთავრებულა. ბრძოლა ახლა დაიწყო და თუ ახლა არ იქნა ჩვენში ერთიანობა, ჩვენ ვერ გავიმარჯვებთ. მთელი ქართველი ერი უნდა დაირაზმოს ამ პარლამენტის გარშემო. პარლამენტს უდიდესი საქმეები აქვს გასაკეთებელი. ასეთ პირობებში ჩვენ არ გვაქვს უფლება პიროვნულ ემოციებს ავყვეთ. ჩვენ უნდა ვმაღლდეთ ყოველგვარ პიროვნულზე, პიროვნულ წყენაზე მაღლა. პიროვნულ წყენას და შეურაცყოფას ვინც ვერ აპატიებს მოყვასს, იმას პოლიტიკაში და ეროვნულ მოძრაობაში ადგილი არააქვს. ეს გახსოვდეთ ყველას. ყველას გახსოვდეთ ეს.

ამას იმიტომ ვქადაგებ, რომ ჩვენ შორის აღვივებენ შუღლს. იმპერია ცდილობს ურთიერთ შუღლისა და მტრობის მორევში დაგვახრჩოს. ეს ვერ უნდა შეძლოს მან! მას სურს ამ გზით დაღუპოს ეროვნული მოძრაობა და საქართველო. ეს მან ვერ უნდა შეძლოს. ეს არის ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა და მიზანი.

მეტი მუშაობაა საჭირო არაქართველებთან. უნდა განვუმარტოთ მათ ჩვენი ეროვნული მოძრაობის გზა. ცდილობენ არაქართველებში შიში გააღვივონ, თუ ჩვენ კანონიერ უფლებებს ვიცავდით, თუ ჩვენი მიწების გამყიდველების წინააღმდეგი ვიყავით ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ჩვენ არაქართველ მოსახლეობას ვემუქრებით.

სხვა პარტიებს ჩვენ შევთავაზეთ ერთ ბლოკში ყოფნა, რათა ერთად გვებრძოლა. არ მოინდომეს და თავად წააგეს. მაგრამ ყველას გავუწვდით ძმობის ხელს, ზურგს არ შევაქცევთ. ყველა ნიჭიერ, ყველა უნარიან ადამიანს მოვიწვევთ თანამშრომლობისათვის, რომელი პარტიისა და რომელი მიმდინარეობის წევრიც არ უნდა იყოს.

აი, გვეკითხებიან-კომუნისტებს მოხსნიან, გააძევებენ სამსახურიდანო? კარგი სპეციალისტი, იმის გამო რომ ის ჩვენი ბლოკის წევრი არაა, არ მოიხსნება სამსახურიდან. მაგალითად, აკადემიკოსი, ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი ხეჩინაშვილი კომუნისტია, და რომელი ჭკუათმყოფელი ადამიანი იფიქრებს ამის გამო მის მოხსნას თანამდებობიდან, მხოლოდ იმიტომ, რომ კომუნისტია, მაგრამ თუ კი ვინმე ისეთი იჯდება იქ, რომელიც თავისი უნიჭობით ღუპავს ავადმყოფს, უვიცია და მხოლოდ კომპარტიის ძალით არის გაბატონებული, -იმას კი მოვხსნით სამსახურიდან-ეს არის ჩვენი პრინციპი. კი, ბატონო, თუ კი უყვართ კომპარტია, იყვნენ და ილოცონ იმ მარქსზე, ლენინზე და იყვნენ სამუდამოდ იქ. ასე, რომ თავისუფლება იქნება შეხედულების, რწმენის, აღმსარებლობის, რელიგიისა. საქართველოს სხვაგვარად არც უარსებია. ეს არის ჩვენი იდეალი. სრული თავისუფლება, სრული შემწყნარებლობა.

ეს არის პრინციპები და იმასაც არ დავივიწყებთ, რომ დღეს ჩვენი უმთავრესი მიზანია საქართველოს რელიგიური და ეროვნული აღორძინება, სარწმუნოებრივი აღორძინება, ჭეშმარიტი ქრისტიანობა. ისტორიულად საქართველო მუდამ ამით იმარჯვებდა. დღესაც ამით გავიმარჯვებთ".

დაე, ჩვენც ამ ქვეყნის შვილებს ყურად გვეღოს თავისუფლებისათვის ზვარაკად შეწირული პირველი, ეროვნული პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მადლმოსილი სიტყვების, ეროვნული თანხმობისა და ურთიერთ შემწყნარებლობის მიმართულებით, რომელიც არის გზა მარადიული თავისუფლებისაკენ.

გფარავდეთ ღმერთი სიმართლისა-ამინ!

საქართველოს პირველი პრეზიდენტის
საგანგებო რწმუნებული
ზურაბ ცხვიტარია
19.08.2019
ფოთი

## ფოთში 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს



ფოთში 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს. ადმინისტრაციულ შენობებზე დაშვებულია სახელმწიფო დროშები. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა კურდღელიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ ირაკლი კაკულიამ, მერის მოადგილეებმა კონსტანტინე თოფურიამ, მამუკა პაპასკირმა და პაატა ლაგვილავამ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ აკაკი დარჯანიამ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, გვირგვინითა და ყვავილებით შეამკეს 8 აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი. აღდგომის სახელობის ფოთის საკათედრო ტაძარში, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლმა, ომში დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა. 8 აგვისტოს მოვლენებმა ფოთის 11 მოქალაქის სიცოცხლე იმსხვერპლა. დაშავდა 80-მდე ადამიანი.



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა კურდღელიამ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსმა თემურ კეკელიძემ, სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორმა, პირველი რანგის კაპიტანმა თემურ კვანტალიანმა, უკრაინის ელჩმა საქართველოში იგორ დოლგოვმა, სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებთან ერთად, სანაპირო დაცვის ბაზაზე 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი ყვავილებით შეამკეს. დაღუპული გმირების ოჯახის წევრებთან ერთად ზღვაში გვირგვინი ჩაუშვეს.

2008 წლის 8 აგვისტოს, რუსეთის ფედერაციის აგრესიის დროს, ტაქტიკური რაკეტებით ქალაქ ფოთში, დაბომბილ იქნა სანაპირო დაცვის ბაზა, ყოფილი სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზა და სავაჭრო ნავსადგური, რის შედეგადაც დაიღუპა ხუთი და დაიჭრა ოცდათორმეტი მეომარი.

## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ფოთელ მეთევზეებს შეხვდა



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე ფოთის მაჟორიტარ დეპუტატთან, ირაკლი ხახუბიასთან და მერის მოადგილეებთან-კონსტანტინე თოფურიასთან, მამუკა პაპასკირთან და პაატა ლაგვილავასთან ერთად კუნძულ კოლიმბარზე და სამხრეთ მოლის ტერიტორიაზე ფოთელ მეთევზეებს შეხვდა. წინა შეხვედრებზე მათ მიერ წამოჭრილი საკითხებიდან, ნაწილი საკანონმდებლო დონეზე უკვე გადაწყდა, მათ შორის პალიასტომის ტბაზე თხევად საწვავზე მომუშავე შიგაწვისძრავიანი ნავით სარგებლობის საკითხი. მეთევზეების მოთხოვნის საფუძველზე, ,,თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის 423 დადგენილებაში“ ცვლილებების შეტანის შესახებ საკითხი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის ინიციატივით, განხილულ იქნა საქართველოს პარლამენტში, შემუშავებულ იქნა კანონპროექტი და წარდგენილია მთავრობის სხდომაზე განსახილველად. პროცესში აქტიურად არის ჩართული გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მიმდინარეობს კონსულტაციები დარგის სპეციალისტებთან და ექსპერტებთან. დღევანდელ შეხვედრაზე სეინერებით თევზჭერის სფეროში არსებულ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე ისაუბრეს

## ფოთის მუნიციპალიტეტში ტორფის მოპოვების თემა საჯაროდ განიხილეს



ტორფის მოპოვების მნიშვნელობასა და წარმოების აღდგენის საჭიროებებზე ისაუბრეს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში გამართულ საჯარო განხილვაზე. სს „ფოთიტორფის“ წარმომადგენლებმა, შეხვედრაზე ნაბადის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის ტორფის მოპოვების მიზნებსა და ტექნოლოგიებზე ისაუბრეს. განხილვას ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მამუკა პაპასკირი დაესწრო. ტორფის მოპოვება ფოთში 1954 წლიდან წარმოებს. დარგის განვითარება მნიშვნელოვანია როგორც, ეკონომიკური ისე ეკოლოგიური კუთხით. „ფოთიტორფის“ დირექტორის, გურამ დოლბაიას თქმით, პირველ ეტაპზე დაგეგმილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ორგანული სასუქი, რომელიც ადგილობრივ ბაზარზე იქნება გატანილი. მეორე ეტაპზე კი თხევადი სასუქის წარმოება და მისი ექსპორტი საზღვარგარეთ. პროექტი მნიშვნელოვანია, როგორც ტორფის მოპოვების დარგის აღდგენისა და განვითარების, ისე საბიუჯეტო შემოსავლების ზრდისა და ადგილობრივი სპეციალისტების დასაქმების კუთხით.

## მდინარე კაპარჭას გაწმენდითი სამუშაოები დაიწყო



ფოთში მდინარე კაპარჭას გაწმენდის პირველი ეტაპის სამუშაოები დაიწყო. სამუშაოებს კომპანია „ინშაათ საქართველო“ ახორციელებს. პროექტი მდინარე კაპარჭის 3 700მეტრიანი ზოლის გაწმენდასა და პალიასტომის ტბის ჰიდროდინამიური რეჟიმის აღდგენას ითვალისწინებს. აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს როგორც მდინარე კაპარჭის წყალგამტარიანობისა და შესაბამისად პალიასტომის ტბის ეკოსისტემის აღდგენას, ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის განვითარებას.

## დაიწყო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის შესწავლა



სამეგრელო-ზემოსვანეთისსახელმწიფო რწმუნებულმა ალექსანდრე მოწერელიამ, მოადგილეებთან, ფონდ ,,ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარესთან ნიკოლოზ ჩხეტიანთან, ქალაქ ფოთის მერთან გოჩა კურდღელიასთან და მერის მოადგილეებთან ერთად ფოთში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები დაათვალიერა. ძეგლები ავარიულ მდგომარეობაშია და სასწრაფო რეაბილიტაციას საჭიროებს. ალექსანდრე მოწერელიამ, ნიკოლოზ ჩხეტიანთან ერთად ტელეკომპანია „ფაზისის“, სახელმწიფო უშიშროების ყოფილი შენობები დაათვალიერეს, ასევე იმყოფებოდნენ მოსწავლე ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრის, საბავშვო ბიბლიოთეკის და სამხატვრო სკოლის შენობებში, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს წარმოადგენს. ,,კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობა ფოთში არის ძალიან სავალალო, განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაში არის სახელმწიფო უშიშროების ყოფილი შენობა, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, მისი ავტორი ცნობილი არქიტექტორი ედმუნდ ფრიკია. მიმდინარეობას მოლაპარაკება მის ამჟამინდელ მფლობელთან და გადმოცემის შემთხვევაში აუცილებლად მოხდება მისი სრული რეაბილიტაცია. ასევე გავეცანით ჩვენ სხვა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობასაც, რომლებიც ფოთში მდებარეობს. ჩვენი მოვალეობაა რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს მათი რეაბილიტაცია, რადგან ის დარჩეს ჩვენს ქალაქს, მოსახლეობას და ჩვენს მომავალ თაობას” - განაცხადა სახელმწიფო რწმუნებულმა. ფონდმა ქართუმ ფოთში უკვე განახორციელა რამდენიმე საქველმოქმედო პროექტი, მათ შორისაა ნიკო ნიკოლაძის კოშკის რეაბილიტაცია და თანამედროვე სტანდარტების სარაგბო ბაზის მშენებლობა. 2005-2019 წლებში ,,ქართუს“ მიერ სამეგრელოში განხორციელებული პროექტების ბიუჯეტი 28 მილიონ ლარს შეადგენს. ფონდის გამგეობის თავმჯდომარის განმარტებით სამუშაო შეხვედრა მიზნად ისახავს ადგილობრივი ისტორიული ძეგლების განხილვას და პერსპექტივაში მათი აღდგენის შესაძლებლობას.

## ფოთში საცურაო აუზის მშენებლობა მიმდინარე წელს დასრულდება



ქალაქ ფოთში საცურაო აუზისა და მულტიფუნქციონური სპორტული კომპლექსის მშენებლობის მიმდინარეობას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე ფოთის მაჟორიტარ დეპუტატთან, ირაკლი ხახუბიასთან და მერის მოადგილეებთან - კონსტანტინე თოფურიასთან, მამუკა პაპასკირთან და პაატა ლაგვილავასთან ერთად გაეცნო. სამშენებლო სამუშაოები აქტიურად გრძელდება. უახლოეს მომავალში დასრულდება ლითონის კონსტრუქციების მონტაჟი და დაიწყება შიდა სამუშაოები. პროექტი, რომლის ღირებულება 14 500 000 ლარს შეადგენს, ითვალისწინებს ორი საცურაო აუზისა და 350 ადამიანზე გათვლილი მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის მშენებლობას, პარკინგის სივრცის მოწყობას, ეზოს მოპირკეთებას და გამწვანებას.

მშენებლობა მიმდინარე წლის ბოლოს დასრულდება.

## ყოფილი ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმის შენობის რეაბილიტაცია – რეკონსტრუქციის პროექტი სულ მალე დასრულებულ სახეს მიიღებს



ფოთში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ყოფილი ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმის შენობის რეაბილიტაცია – რეკონსტრუქციის პროექტზე შპს „საქართველოს ტექნიკური ჯგუფის“ მთავარი არქიტექტორი, კონსტანტინე ტყეშელაშვილი მუშაობს.

პროექტი სულ მალე დასრულებულ სახეს მიიღებს.

## ფოთში, ზუგდიდში, გორში, თელავში, ქუთაისსა და რუსთავში 100 ახალი ავტობუსი იმოძრავებს



ევრობანკის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, პროექტის ბიუჯეტი 11.8 მილიონი ევროა, საიდანაც „იბიარდი“ 10 მილიონ ევროს გამოყოფს. ავტობუსები ევრო - 5 ტიპის დიზელის საწვავზე იმუშავებს

ფიქრები ქართულ მედიაზე

# ქალაქმა უნდა იზრუნოს საზოგადოებრივი მასმედიის შექმნაზე

## ქართული ჟურნალისტიკა პოლარიზებულია, არ არსებობს დამოუკიდებელი მედია, რომელიც დაიცავს სახელმწიფო ინტერესებს და არა ხელისუფლების, ან რომელიმე პარტიის



მსოფლიოში მაუწყებლობის სამი მოდელი არსებობს: კერძო, სახელმწიფო და საზოგადოებრივი.

სოციალური ბანაკის დაშლის შემდეგ ევროსაბჭომ ყველა პოსტსაბჭოურ ქვეყანას დაუყენა მოთხოვნა სახელმწიფო ტელევიზიისა და რადიოს საზოგადოებრივ მაუწყებლობად გარდაქმნის შესახებ ანუ ამ ქვეყნების საზოგადოებას უნდა აეღო თავის თავზე მაუწყებლობის მართვა, დაფინანსება და კონტროლი.

ევროპაში საზოგადოებრივი მაუწყებლობის იდეა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დაიბადა და მას საფუძვლად დაედო ის პოზიცია, რომ მომავალში ჰებელსის ფაშისტური რადიოს მსგავსად, არცერთ ხელისუფლებას, არც კარგს და არც ცუდს აღარ უნდა მისცემოდა საშუალება, საზოგადოების საწინააღმდეგოდ გამოეყენებინა პროპაგანდის ისეთი მძლავრი საშუალებები, როგორიცაა რადიო და ტელევიზიაა.

ჩვენთან, სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ, ამ თემაზე ევროსაბჭოს წარმომადგენლებმა მრავალი სემინარი თუ შეხვედრა გამართეს მუშაობაში ჩვენს პარლამენტარებთან, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან და სხვა უწყებებთან ერთად, ვინაიდან საზოგადოებრივი მაუწყებლობის მართვის ფორმა უფრო დემოკრატიულია ვიდრე სახელმწიფოებრივი მართვა, ვსწავლობდით მისი ჩატარების გზებს, მაგრამ ვცდილობდით აჩქარებით რაიმე შეცდომა არ მოგვსვლოდა, ვინაიდან უკვე არსებობდა მაგალითი რუსეთისა, რომელმაც დიდი ზარზეიმით გადააკეთა სახელმწიფო ტელეარხი ,,ოსტანკინო" ,,რუსეთის საზოგადოებრივ ტელევიზიად". მალე იგი მსხვილი ოლიგარქების ხელში აღმოჩნდა, შემდეგ ძლივს დაიბრუნეს უკან. გვქონდა უნგრეთის მაგალითი-როდესაც საზოგადოებრივად ,,გადაკეთებული" უნგრეთის სახელმწიფო ტელევიზია, სინამდვილეში რედაქციების მიხედვით პარლამენტის ფრაქციებსა და ჯგუფების კონტროლს დაექვემდებარა. ვიცოდით, რომ საფრანგეთის ტელევიზია მხოლოდ ახლა ახერხებდა განთავისუფლებულიყო სახელმწიფო ზეწოლისაგან, რომ იტალიასა და გერმანიაში ტელევიზია ნაწილობრივ პოლიტიკური ძალების გავლენის ქვეშ მოექცა, ესპანეთის ტელევიზიას მთლიანად ხელისუფლება აკონტროლებდა და სხვა მოკლედ გვსურდა რეფორმის შედეგად სამ ზირითად პრინციპზე დამყარებული პროგრამირება, ფინანსები, მართვა და კონტროლი , საზოგადოებრივი ტელე-რადიო მაუწყებლობა საქართველოს საზოგადოების სამსახურში ჩამდგარიყო.

ჯერ მართვასა და კონტროლზე ვისაუბროთ და სამაგალითოდ ავიღოთ გერმანია, სადაც მაუწყებლობის მხოლოდ 2 ფორმაა- საზოგადოებრივი და კერძო. ZDF (გერმანიის მეორე ტელევიზია), საზოგადოებრივი მაუწყებლობაა, რომელიც გერმანიის სამხარეო მიწების შეთანხმების საფუძველზე შეიქმნა, მას მართვის სამი ორგანო აქვს: სატელევიზო საბჭო, ადმინისტრაციული საბჭო და ხელმძღვანელი (ინენდანტი).

პირველი სატელევიზიო საბჭოს შემადგენლობაში 77 წევრია, ესენი არიან:

- ხელშეკრულებაში მონაწილე სამხარეო მიწების თითო წარმომადგენელი, რომლებსაც ამ მიწების ხელისუფლება ნიშნავს.

- ფედერაციის სამი წარმომადგენელი, რომლებსაც ფედერალური ხელისუფლება ნიშნავს.

-პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელი, რომლებსაც ბუნდესტაგში მათი ადგილების პროპორციული შეფარდებიდან გამომდინარე, მათივე პრეზიდიუმები ნიშნავენ.

- გერმანიის ევანგელისტური ეკლესიის 2 წარმომადგენელი.

- კათოლიკური ეკლესიის 2 წარმომადგენელი.

- ერთი წარმომადგენელი, რომელსაც გერმანიის ებრაელთა ცენტრალური საბჭო ნიშნავს.

- გერმანიის პროფკავშირების,გერმანიის მოსამსახურეთა პროფკავშირების და გერმანიის სახელმწიფო მოხელეთა პროფკავშირების თითო წარმომადგენელი.

-გერმანიის მუშათა კავშირების ფედერალური გაერთიანების 2 მრეწველობის და ვაჭრობის ყრილობის ერთი, სოფლის მეურნეობის ცენტრალური კომიტეტის 1 და გერმანიის ხელოსანთა კავში რის წარმომადგენელი.

-გაზეთის გამომცემელთა ფედერალური კავშირის 2 წარომადგენელი.

გერმანიის ჟურნალისტთა კავშირის, მასობრივი ინფორმაციების საშუალებათა წარმოების პროფკავშირის ბეჭდვისა და ქაღალდის, პუბლიცისტიკისა და ხელოვნების თითო წარმომადგენელი.

- თავისუფალი საქველმოქმედო კავშირების 4 წარმომადგენელი. კერძოდ: გერმანიის ევანგელისტური ეკლესიის დიაკონატის, გერმანიის მოწყალების კავშირის, გერმანიის წითელი ჯვრისა და გერმანიის ქველმოქმედების თითო წარმომადგენელი.

- გერმანიის ქალაქების ყრილობის, გერმანიის ქალაქებისა და სათვისტომოების კავშირი და გერმანიის მიწათა ოლქების ყრილობის თითო წარმომადგენელი.

- გერმანიის სპორტული კავშირის ერთი წარმომადგენელი.

- გერმანიის ევროპული კავშირის ერთი წარმომადგენელი.

- გერმანიის გარემოს და ბუნების დაცვის კავშირის, გერმანიის ბუნების დაცვის გაერთიანების თითო წარმომადგენელი.

- დევნილთა კავშირის ერთი წარმომადგენელი.

- სტალინიზმის მსხვერპლთა გაერთიანების ერთი წარმომადგენელი.

- აღზრდისა და განათლების მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის, კინოინდუსტრიის, თავისუფალი პროფესიების, ოჯახებთან მუშაობის, ბავშვთა დაცვის, ახალგაზრდობასათან მუშაობის, მომხმარებელთა და ცხოველების დაცვის 16 წარმომადგენელი.

როგორც ხედავთ სია საკმაოდ ვრცელია. საზოგადოებრივი მაუწყებლობის მართვის სატელევიზიო საბჭოში პრაქტიკულად ქვეყნის მთელი სპექტრია წარმოდგენილი, ქალთა დადგენილი პროცენტის გათვალისწინებით. საბჭოს ყავს ფარული კენჭისყრით არჩეული თავმჯდომარე და მოადგილე.

სატელევიზიო საბჭო 3 თვეში ერთხელ იკრიბება, მისი ძირითადი ამოცანაა სამაუწყებლო დირექტივების შემუშავება, ანუ ტელეკომპანიის პროგრამაში რა სახის გადაცემები, რა თანაფარდობით იყოს წარმოდგენილი. რას მიენიჭოს პრიორიტეტი მიმდინარე ეტაპზე და სხვა. კონსულტაციას უწევს კომპანიის ხელმძღვანელს დასახული ამოცანების შესრულებაში. თვალყურს ადევნებს ფედერალურ ორგანოთა შორის დადებული ხელშეკრულების მოთხოვნების შესრულებას, ამტკიცებს ტელეკომპანიის ბიუჯეტს ადმინისტრაციული საბჭოს წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს ხელმძღვანელს და სხვა. ტელეკომპანიის ხელმძღვანელი მონაწილეობს და საჭიროების შემთხვევაში, აქვს უფლება მოითხოვოს სიტყვა, საბჭო ვალდებულია მოუსმინოს მას.

საბჭოს წევრებს ირჩევენ 4 წლით . არააქვთ უფლება ანაზღაურებით იმუშაონ ,,ცდფ"-ში ან რომელიმე სხვა ტელეკომპანიაში. არააქვთ უფლება ქონდეთ ეკონომიკური ან რაიმე ინტერესი, რომელსაც შეუძლია ავნოს ამ წევრის ფუნქციონირებას საბჭოში და სხვა.

2. ადმინისტრაციული საბჭო შედგება 14 "- პუნქტისაგან, ესენი არიან:

- სამხ. მიწების 5 წარმომადგენელი. ერთი მათგანი იმ მიწის მწარმოებელია სადაც ,,სდფ" -ი ტერიტორიულად იმყოფება.

- ფედერაციის ერთი წარმომადგენელი, რომელსაც ფედერალური ხელისუფლება ნიშნავს.

-დანარჩენ 8 წევრს სატელევიზიო საბჭო ირჩევს ფარული კენჭისყრით, ხმების სამი მეხუთედი. ადმინისტრაციულ საბჭოში შეიძლება სატელევიზიო საბჭოს წევრიც იყოს არჩეული. ამ შემთხვევაში იგი სატელევიზიო საბჭოდან გაირიცხება. საბჭოს ამ 8 წევრს არ აქვს უფლება შედიოდნენ მთავრობაში, ან რომელიმე საკანონმდებლო ორგანოში.

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ იმ გარემოს - ადმინისტრაციული საბჭოს 14 წევრიდან, მხოლიდ 6-ია წარმომადგენელი, ხოლო 8 წევრი, ან უმეტესობა საზოგადოების ინტერესებს წარმოადგენს. ასევეა სატელევიზიო საბჭოშიც, რაც ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

ადმინისტრაციულ საბჭოს წევრებს ირჩევენ 5 წლით. მას ყავს ფარული კენჭისყრით არჩეული თავმჯდომარე და მოადგილე. თავმჯდომარეს ,,ცდფ"-ის ოფიციალური წარმომადგენელია და ხელს აწერს ხელშეკრულებას, როგორც კომპანიის ხელმძღვანელთან, ასევე სხვა იურიდიულ დოკუმენტებზე. იგი სატელევიზიო საბჭოსთან შეთანხმებით ნისნავს და ათავისუფლებს კომპანიის ხელმძღვანელს სატელევიზიო საბჭოში დასამტკიცებლად შეაქვს კომპანიის წესდება. უფლება აქვს საბჭოს შესთავაზოს ცვლილებები წესდებაში. საბჭო აკონტროლებს ხელმძღვანელის საქმიანობას, განიხილავს და ღებულობს მის მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტის გეგმას და შესაბამისი პარაგრაფის თანახმად აგზავნის დასამტკიცებლად სატელევიზიო საბჭოში. ადმინისტრაციული საბჭოს წევრებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საბჭოს მუშაობაში და საკუთარი აზრი გამოთქვას დღის წესრიგის გათვალისწინებულ საკითხებზე.

3 ხელმძღვანელს ირჩევს სატელევიზიო საბჭო ფარული კენჭისყრით, შემადგებლობის სამი მეხუთედით, 5 წლით. ის პასუხს აგებს ,,ცდფ"-ის ყველა საქმიანობაზე, სატელევიზიო პროგრამების შექმნის ჩათვლით. ადმინისტრაციულ საბჭოსთან შეთანხმებით ნიშნავს მოადგილეს და სხვა საკვანძო მიმართულებათა ხელმძღვანელებს.

ახლა დაფინანსების საკითხებს შევეხოთ და ჩავიხედოთ ,,რადიო და ტელემაუწყებლობის მსოფლიო საბჭოს" მომზადებულ და ,,იუნესკოს" გამოცემული პატარა წიგნში.

,,საზოგადოებრივი რადიო და ტელევიზია. რისთვის? რანაირად? "მასში ნათქვამია, - ,,თუმცა გადასახადი მიმღებ მოწყობილობაზე (ტელევიზორი, რადიო) რჩება დაფინანსების ყველაზე გავრცელებულ ფორმად თუნდაც ევროპაში, იგი სრულებითაც არ გახლავთ ერთადერთი". მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მსგავსი გადასახადი საერთოდ არ არსებობს. მაგ კანადაში და ავსტრალიაში საზოგადოებრივი მაუწყებლობა სახელმწიფოს საერთო ხარჯებით ფინანსდება.

უფროსი თაობის ადამიანებს ემახსოვრებათ, რომ ტელევიზორის სააბონენტო გადასახადი ყოფილ საბჭოთა კავშირშიც არსებობდა, ხოლო ტელევიზორი ,,რეკორდი" 175 მანეთი ღირდა. შემდეგ ტელევიზორი გააძვირეს 210 მანეთი გახდეს და სააბონენტო გადასახადი მოხსნეს, ანუ ტელევიზორის ღირებულებაში შეიტანეს. ეს მაგალითი იმისთვის მოვიტანე, რომ ვიცოდეთ, საზოგადოებრივი ტელევიზიის დაფინანსების სხვადასხვა გზები არსებობს. ზოგიერთ ქვეყანაში, ,,ტელეგადასახადის" საფასური ქვეყანაში შემოტანილი აპარატურის ღირებულებაშია, ზოგში ელექტრო ენერგიის საფასურში შედის და ა.შ. მთავარია, ხელისუფლება არ გაძლევდეს ფულს და გეუბნებოდეს, მე გიხდი და მე მემსახურეო. მთავარი პრობლემა, მართვის ფორმაშია!

როგორც ვიცით, გერმანიაში არის პირდაპირი სააბონენტო გადასახადი ტელე-რადიო კომპანია ,,დოიჩე ველე" გერმანიის საგარეო ტელე და რადიო მაუწყებლობაა, რომლის მიზანია, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მყოფ გერმანელს მშობლიურ ენაზე მიაწოდოს ტელე და რადიო პროგრამები. როგორ ფიქრობთ, ავსტრალიაში მცხოვრები გერმანელი (ანუ აბონენტი), რომელიც ამ საზოგადოებრივ არხს უყურებს, სააბონენტო გადასახადს იხდის? რათქმაუნდა არა. მაშ, როგორ ფინანსდება, საიდან იღებს ტელე-რადიო კომპანია მილიარდებს? -100%-ით ფედერალური ბიუჯეტიდან. გერმანიის მთავრობა აფინანსებს ამ ტელე-რადიო კომპანიას., ვიანიდან იგი გერმანელი ერის ინტერესებს ემსახურება, მაგრამ აფინანსებს არა საგარეო საქმეთა სამინისტროს გავლით, რომელსაც ინტერესები აქვს უცხოეთში, არამედ შინაგან საქმეთა სამინისტროს გავლით. დაიკვირდით, აქაც ისევ მართვასთან, ანუ მართვაში ჩართულობასთან გვაქვს საქმე.

,,-ჩვენ თანდათან უფრო ხშირად მოწმე ვხდებით საზოგადოევრივი და კომერციული დაფინანსების შერწყმისა", ნათქვამია იუნესკოს გამოცემაში. ეს ნიშნავს, რომ კერძო ტელევიზიებთან კონკურენციის პირობებში საზოგდოებრივმა მაუწყებლობამ არ უნდა თქვას უარი კომერციულ საქმიანობაზე. პირიქით, უნდა შეეცადოს წარმატებულიც იყოს, რათა ეს შემოსავლები ისევ თავის ძირითად საქმიანობას მოახმაროს. მაგ: იგივე ტელეკომპანიას ,,ZDF" გერმანიის მეორე ტელევიზია სააბონენტო გადასახადებიდან თავისი ბიუჯეტის მხოლოდ 39 %-ს ღებულობს, დანარჩენს სარეკლამო შემოსავლებიდან ავსებს. ასევე გამოკვლევის შედეგად საფრანგეთის სენატის მოხსენებაში მოტანილია მეტად საინტერესო ფაქტი, რომ მოზარდი თაობა ეჭვის თვალით უყურებს ტელევიაზიას, რომელსაც კომერციული რეკლამები არ აქვს. მართლაც, ევროპაში 10-15 წლის წინათ, საზოგადოებრივ მაუწყებლებს აკრძალული ქონდათ კომერციული რეკლამის გაშვება, მაგრამ კონკურენციის პირობებში, ამ სფეროში არსებულმა რეალობამ აიძულა მთავრობები შესწორებები შეეტანათ მაუწყებლობის კანონში.

როგორც ვხედავთ საზოგადოებრივ ტელევიზიაში, კომერციული რეკლამის არსებობას ფინანსური მნიშვნელობაც აქვს, ფსიქოლოგიური და არხის რეიტინგის მაჩვენებელიცაა. ბუნებრივია, არ უნდა გავაღიზიანოთ მაყურებელი იმით, რომ კერძოსავით ყოველ 15 წუთში ,,გავჭრათ" ფილმი თუ პროგრამა რეკლამის გასაშვებად, ისინი გადაცემებს შორისაც შეიძლება განთავსდეს.



## „ვლოცავ დღეს ჩემი გაჩენის, ბედნიერი ვარ მე”!
## ფოთელ მშენებელთა უხუცესი გვარდიის ერთ-ერთ (თუ არა ერთადერთ) ბრწყინვალე წარმომადგენელს, ნაპო თოდუას ვულოცავთ კარზე მომდგარ 85 წლის იუბილეს

ჩვენი გაზეთის მკითხველები კარგად იცნობენ ბატონ ნაპო თოდუას, როგორც საძმაკაცოს და თავის ქალაქის მოყვარულს, ნიჭიერ მამულიშვილს. იგი საქართველოს ულამაზესი სოფლიდან-აბასთუმნიდანაა წარმოშობით, რომელიც ზუგდიდის რიონში მდებარეობს, სოფელი მთაგორიანია და კავკასიონის გოლიათი მთები თავს დაჰყურებს და უშრეტ ძალას და ენერგიას მატებს აქაურ მცხოვრებლებს. სწორედ, ამ მშვენიერ, ულამაზესი ბუნების მადლი თანდაყვა ბატონ ნაპოს და უბრალოებით, ხალასი, კაცთმოყვარეობის, საქმისადმი სერიოზული მიდგომით, ერთ-ერთი სანიმუშო პიროვნებაა. ჩვენს ქალაქში მას იცნობენ, როგორც მშენებელს, პოეზიის მოყვარულს და მეფუტკრეს. მისი ლექსები სისტემატურად იბეჭდება გაზეთში ,,ნიკოლაძის გზით” და სიამოვნებით ელოდებიან ახალ ნომერს მისი მკითხველები.

ბატონი ნაპო თოდუა სპეციალობით მშენებელი-ინჟინერია, წლების განმავლობაში იგი სათავეში ედგა და ხელმძღვანელობდა ფოთში სხვადასხვა სისტემის საამშენებლო სამმართველოებს. მშენებლობის დარგით რამოდენიმე გამოგონების ავტორია. მოსკოვის ჟურნალ ,,ექსპრეს ინფორმაციაში” დაბეჭდილია მისი სტატია კანალიზაციის მშენებლობის მისეულ მეთოდზე.

მე-7,მე-8 კლასში იყო როცა პირველად სცადა მეგრულად ლექსის დაწერა სოფლის ცხოვრების თემაზე. მასშემდეგ დიდმა დრომ გაიარა და ამ ხანდაზმულობაში კვლავ მიუბრუნდა პოეზიის სირთულეებს. (მის მხატვრულ ღირებულებაზე ავტორს პრეტენზია არ აქვს), სადაც ცხოვრებისეული ბევრი მაგალითების მისეული ხედვაა გადმოცემული, რომელიც მისი მკითხველისთვის მოსაწონი და მისაღებია. მალე მას 85 წელი შეუსრულდება, ამასთან დაკავშირებით გაზეთის რედაქცია ულოცავს ღვაწლმოსილ ამაგდარს კარზე მომდგარ იუბილეს.

ნაპო თოდუა ყველაზე კარგად იცნობს საკუთარ თავს მისი პლიუსმინუსებით. ასაკიც და გამოცდილებაც საკმარისად მაქვს ამისათვის, ღმერთმა დამიფაროს იმ აზრისგან, რომ რასაც მე ვაკეთებდი სხვა ვერ გააკეთებდა, შეიძლება უკეთესადაც, მაგრამ პიროვნებაზე ბევრია დამოკიდებული. ახლა მე რასაც ვიტყვი შეიძლება ახალგაზრდებს არ მოეწონოს. მაგრამ ჩემი თაობა (ვინცაა დარჩენილი) ადვილად გამიგებს, კერძოდ კომუნისტების პერიოდში დემოკრატიაზე ზედმეტი იყო საუბარი. იკრძალებოდა ზედმეტი ფუფუნება. უფრო სწორად, მეზობელზე მეტი კაპიტალი არ უნდა გქონოდა, რომ მეზობელს თავი დაჩაგრულად არ ეგრძნო. უმუშევარ ახალგაზრდას ორგანოს მუშაკი მიაკითხავდა, უსაქმურობა დანაშაული იყო. მოკლედ, რისი თქმა მინდა,იყო დევიზი - არცერთი ოჯახი საცხოვრებელი ბინის გარეშე, არცერთი ბავშვი სკოლის და საბავშვო ბაღის გარეშე. ,,ეს შტურმავშინა” იწვევდა დაძაბულობას, თავისუფალი დროის ნაკლებობას, მაგრამ, მე, როგორც მშენებელი: სკოლების, საბავშვო ბაღების, ჯანმრთელობის ობიექტების, საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დამთავრება და ჩაბარება მავიწყებდა. დემოკრატიაზე ფიქრს და მიხსნიდა არა დემოკრატიის დისკომფორტს.

ნაპო თოდუას ხელმძღვანელობით ქალაქში შენობა-ნაგებობა აშენებულა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ ფანტაზიაში არ არსებობდეს, ქალაქს სიცარიელის სინდრომი დაეუფლებოდა. ვამაყობ ურთულესი საინჟინრო ნაგებობის - წისქვილქარხნის, პირველი საკანალიზაციო ქსელის და გადამქაჩი სადგურების, მდინარე რიონზე დინკერის, მეშვიდე კილომეტრის ხიდის გამაგრებითი სამუშაოების, რომელმაც 20 წელზე მეტი გამართულად იმუშავა. სკოლების, საბავშვო ბაღების, ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლების, მისი მშენებლები ინჟინრები, სანტექნიკოსები, მექანიკები, ტრანსპორტნიკები, რიგითი თანამშრომლების მთელი არმია, დაუღალავი შრომით, პირნათლად ემსახურებოდნენ ამ საპატიო საქმეს და ეს ხალხი, დღეს ვინც შემოვრჩით, მე პირზე კოცნით მხვდება და თვალებით მეტყველებს ჩემდამი პატივისცემას. ამაზე დიდი მორალური კმაყოფილება ენით უთქმელია.

რა ვერ მოვასწარი? -ნორმალური ადამიანი მიღწეულით არასდროსაა კმაყოფილი. შეიძლება ვცდები, მაგრამ ჩემი პოტენციალი მეტზე იყო გათვლილი, თუმცა ადამიანი შეცდომისაგან არაა დაზღვეული.

ი. სპერი

### გალაქციონი

მე როდესაც ამ სტრიქონს ვწერ,
გალაქციონს ეცინება,
წადი მამე, დაიძინე
თორემ გული მეცვინება.
ნუ გადამრევ, არ გამედო
გაგრძელება მეწყინება.
ჩემო თავო, რა დაიწყეს,
უნებლიედ მეცინება.
დამამშვიდა, არვის ვეცყვი,
შენც არ გაახმიანო.
გიხაროდეს და იცუჩე
ჯერ თუ არ იციანო.

******

### მამე

ამ ასაკის დავიმადე, მამე რაცომ გგონია!
თქვენს ასაკში პრობლემები მე არასდროს მქონია,
ეშმაკობაც, მოფერებაც მეც თქვენსავით მჩვეოდა,
რწმენა ხვალინდელი დღისა მეც ისევე მჯეროდა.
მე ამ გზაზე რაც დავძლიე ღმერთმა დაგაძლევინოთ!
დავიღალე, გეთიშებით ღმერთმა ნუ გათქმევინოთ,
მამე ასაკს ვერ გაექცა, თვარა გამოცდილია.
ვერაფერს გამოაპარებ, დიდი შებერცვილია.

******

### გამცილებლის ნაკლებობა

საკმარისად დამიგროვდა გარდასული წლებია,
წლები გადის, შემითხელდა ცოლი მეგობრებია.
გამირთულდა სიმარცხვით გასავლელი გზებია,
გამცილებლის სინაკლებე, დამხვდური კი მეცია.
აქ სიახლეს ვერ შეიცან, ფიქრიც კი ზედმეცია.

******

### აუგი

შენ ნაკლებად ახმოვანე აუგია,
უზნეობას ყველა დროში წაუგია.
დროზე ნახე, ვის რა კარგი აუგია,
არ დასაჯო ვის ხაფანგი დაუგია,
აპატიე შენი თუ ვერ გაუგია!

******

### საძმო

ჩემი საძმოს ფასი ვიცი, არ მეშლება წონა,
სხვა სიმდიდრეს მირჩევნია ამ სიმდიდრის ქონა.
ჯადოსნური ძალა აქვს საძმაკაცოს აურას,
მათ გარეშე ჩვენი ყოფა ემსგავსება აუ, რას?

******

### ზარი

ძმაკაცის ზარს გამოვყავარ არეული ფიქრიდან,
მშვიდი ცონით მოსაუბრე ის მამშვიდებს
იქიდან,
ერთმანეთის ეს ზარები იმედს თესავს დილიდან,
არაფერი გვეხარჯება ამ ცარიელ ჯიბიდან.
ამით ჯანი გვემატება ძმობის ელიქსირიდან.

******

### აზრი

ამ თემაზე ვერ შევჯერდით, აზრი ორად გაიყო,
შენ შავგრემანს სიმპატიობ, ასე გჯერა, რა გიყო,
ერთ რამეზე რომ შევჯერდეთ, ეს სადაო არ იყოს,
ჩვენ ჩვენს აზრზე ვრჩებით მარა, მეცეობა არ
იყოს.

******

### მიწამე

მე შენი მწამს, მაგრამ ჩემიც იწამე!
ერთგული ვარ, გჯეროდეს და მიწამე!
თუ ვცრუობდე მომაყარე მიწა მე,
ნუ გამწირავ, მიპატრონე, მიწამლე.

### არ დამჩაგრო

შენ ნუ ჩამომაყალიბე, მეც მომეცი განსჯის ნება.
შენ უჩემოდ ნუ გამოგაქვს ეს უნიჭო განჩინება.
მე წყალობას არ ვთხოულობ, აღარ მინდა არვის
ვალი,
მაგრამ იმას არ ავიცან, უსამართლოდ დამდო ბრალი.

******

### დამელოდე

გაუჩენელს გავაჩენ, სადარდებელს მოგიხსნი,
ცოცა ხანი მაცალე, შენთვის მალე მოვიცლი.
შენს გარემოს შევმოსავ ნაირნაირ ფერებით.
შენც მაღლა ცას ეწვევი სიყვარულით, ფერებით.

******

### არ იძუნწო

„მე" – ნაკლებად იხმარე, არ იძუნწო საქმეზე,
სხვებმა ილაპარაკოს შენს გაწეულ საქმეზე,
დანახვა და დაფასება აღარ დააგვიანო,
ეცადე, რომ ყურადღება დროზე გაახმიანო!

******

### ოცნება

ერში მიმრავლე უფალო მარის და თოხის
ერთგულნი.
ერს ქრისციანს, მორწმუნეს მიეც გზამკვლევი
მეგზური.
შენ დააყენე რიგები სამშობიაროს კარებთან!
ვეღარ ვასწრებდეთ მოლოცვას თავდაჯერებულ
მამებთან.

******

### მოყვარე

მოყვარე მცრად მიგაჩნია,
ვინ წყეულმა მიგაჩვია,
თუ გარჩევას ვერ ისწავლი
უნიჭობად მიმაჩნია.

გამოსათხოვარი

„მიდიხარ ტკბილი გქონდეს მგზავრობა"

# კარგი მწერალი და მოქალაქე

## რევაზ ჩხარტიშვილი, კრიტიკოსი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე მშობლიურ ქალაქ ფოთს და თანაქალაქელებს ეთხოვება



ქართველმა ინტელიგენციამ დიდი დანაკლისი განიცადა- ჩვენს შორის აღარაა სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული მწერალი, კრიტიკოსი, კარგი მეგობარი და თანამებრძოლი. ბატონი რეზო გახლდათ გამბედავი, სულიერად ძლიერი პიროვნება, მისი ნაწარმოებები დღესაც პოპულარულია -ესაა წინააღმდეგობებით სავსე ეპოქა, იგი მართლაც დიდი სიტყვის ოსტატი იყო.

რეზო ჩხარტიშვილმა ფოთში გაატარა ახალგაზრდული წლები, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ხშირად ჩამოდიოდა, ჩამოქონდა წიგნები, პოეზია, კრიტიკა, ნარკვევები, მონოგრაფიები და ახარებდა ფოთელთა აღიარება. ფოთი მისთვის შეუცვლელ ქალაქად დარჩა, ბოლო დღემდე არ ასვენებდა ზღვა, პალიასტომი, რიონი, სიყრმის მეგობრები. გული მუდამ მშობლიური ადგილებისკენ მოუწევდა, იშვიათად კაცს ასე უყვარდეს ადგილის დედა. ფოთელები მადლობას ვუხდით დიდი ღვაწლისა და ამაგისათვის.

მას დიდი შემოქმედებითი გეგმები ჰქონდა, სამწუხაროდ არ დასცალდა, 82 წლის ასაკში გარდაიცვალა XX-XXI საუკუნეების გზა გასაყარის ქართველი მწერლობის გამორჩეული კოლორიტული წარმომადგენელი პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი, ლიტერატურათმცოდნე რევაზ ჭიჭიკოს ძე ჩხარტიშვილი.

რევაზ ჩხარტიშვილი დაიბადა 1937 წლის 27 ივნისს ფოთში, დაამთავრა პირველი საშუალო სკოლა, მოგვიანებით- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა.

ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლისას მე-4 კურსის სტუდენტი მიიწვიეს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში -მიხეილ ჯავახიშვილის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მეხუთე ტომის მეცნიერრედაქტორად. ტომში შევიდა მის მიერვე მიკვლეული ჯავახიშვილის „ქალის ტვირთის" უცნობი ვარიანტი.

საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვის შემდეგ, რეზო ჩხარტიშვილი მოღვაწეობდა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტსა და სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში. იყო აგრეთვე „წიგნის პალატის" მთავარი რედაქტორი, საქწიგნის" სამმართველოს დირექტორი. რევაზ ჩხარტიშვილს გამოცემული აქვს 43 წიგნი, მათ შორის, ლექსების ათიოდე კრებული.

ქართველი მკითხველის ცხოველი ინტერესი გამოიწვია ისეთმა რომანებმა, როგორებიცაა ,ამბოხი",„ერთ ჭერქვეშ", „კარუსელი", „განაჩენი", „სისხლიანი 1924", „სოდომ გომორი", „გაცრუებული იმედი," რომლებიც მე-20 საუკუნის ერთგვარ მხატვრულ მატიანეს წარმოადგენს და საბრალდებო დასკვნაცაა იმ სისხლიან საშინელებათა გამო, რომლებიც ქართველობას დაატეხა თავს კომუნისტურმა ტირანიამ. ამ რომანებში ის წინამძღვრებიც ნათლად დაგვანახა, რამაც შეადუღაბა ჩვენს ერში სიმტკიცე და გაუტეხელობა და დღევანდლამდე მოგვიტანა ქრისტესავით ჯვარცმული საქართველო. მისი პოეზია პროზის ორგანულ გაგრძელებად გვესახება, პოეტური კრებულები: „სიბერის ჟამს გაჩენილი ცეცხლი", „მიმწუხრის ჟამის ელეგიები", „მესამე შეხვედრა მკითხველტან", „ფოთი, ჩემი კოხტა ფოთი", „შენ ჩემო მანათობელო", „რაც მიფიქრია და მითქვამს". რომლებიც ღრმად გვაფიქრებინებს წუთისოფლის ამაოებაზე და ამავე დროს ნათელი მომავლის რწმენით აღგვავსებს.

რეზო ჩხარტიშვილს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართულ პუბლიცისტიკაშიც - სულის უკვდავების, ორი ეპოქის მიჯნაზე, ავტორია რამოდენიმე სამეცნიერო წიგნისა („მხატვარი და პერსონაჟები, „დრო და მწერალი", ლიტერატურული კრიტიკული ბრძოლების ახლო წარსულიდან, ქართული სალიტერატურო კრიტიკის უახლოესი ისტორიიდან).

ბატონი რეზო დაჯილდოებული იყო საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიით ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის. იყო ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქე,

რევაზ ჩხარტიშვილის ხსოვნა მარად დარჩება მისი თანამებრძოლების, მეგობარი მწერლების, სრულიად საქართველოს და განსაკუთრებით ფოთელთა ხსოვნაში.

ფოთის საზოგადოება

### ისევ ჩემი კოხტა ფოთი

ისევ ჩემი ფოთი სადაც,
სიყმაწვილე მზისფერია,
ცა, კრიალა სარკესავით
მოლივლივე ზღვისფერია.
ფიქრი მიპყრობს ნეტარებით,
გავიხსენებ წარსულს ოდეს,
ისევ მახსოვს ძველი გრძნობა
სიყმაწვილის წლებს რომ მოსდევს.
ჩემი ცელქი სიყმაწვილე
ნაფეხურებს ტოვებს სულში,

მსურს, თუ არ მსურს, სხვა გზა არ მაქვს,
გადავდივარ გარდასულში.
სიყმაწვილე გამახსენებს
მშობლიური უბნის სითბოს,
თუმც თაობა შეიცვალა
უცხო მხარეს თავს ვგძნობ თითქოს.
მეზობლები ვეღარ მცნობენ,
მიყურებენ როგორც უცხოს,
მთლად ჭაღარა საშა ბებო
შვილთაშვილებს კვერს ვერ უცხობს.
მალთაყვაში ზღვის ნიავი
არ მაგრილებს ძველებურად,

ჰორიზონტზე მზის მრგვალ დისკოს
ზეცა წითლად შეუბურა.
მხიბლავდა და თვალს მტაცებდა
იასამნის მე ფერები,
ჩემი უბნის ხეს და ბუჩქებს
კვლავ ბავშვივით ვეფერები.
ისევ ჩემი კოხტა ფოთი,
სიყმაწვილე მზისფერია,
ცა, კრიალა სარკესავით
მოლივლივე ზღვისფერია.

სახალხო მთქმელი

## მირიან ჯგუბურია

ფოთი იყო ერთ-ერთი პირველი ქალაქი, სადაც ზღვით აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა შემოვიდა. ფოთელები თავადაც არ იყვნენ დალხენილი, მაგრამ სამშობლოში უსამშობლოდ დარჩენილ ადამიანებს გვერდში დაუდგნენ, მას შემდეგ ბარე 30 წელი გავიდა. საერთაშორისო ორგანიზაციები იხილავენ ლტოლვილთა დაბრუნების საკითხს, მაგრამ ამაოდ, სამწუხაროდ, მათი დიდი ნაწილი კვლავაც უბინაოა და ბევრი აქაურობასაც ტოვებს, ბევრიც იმედს არ კარგავს, შრომობს, წვალობს, ოჯახებს არჩენს, ბევრიც საზღვარგარეთიდან ეხმარება თავისიანებს.

ჩვენთან მცხოვრები დევნილები თავს ფოთელებად თვლიან. 30 წელი მთელი ცხოვრებაა, ერთი თაობა გაიზარდა, მირიან ჯგუბურიაც მათ შორისაა - სახალხო მთქმელი, თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული კაცი. ლექსებსაც წერს მოცლილობის ჟამს და დარდსაც იქარვებს.

### ხალხს მობეზრდა მიტინგობა

უჩვეულო ჩხუბს და დავებს
აღარ უჩანს რაღაც ბოლო,
ყველაფერი აირია
რა გჭირს ჩემო საქართველოვ,
სიმართლეს თუ გვათქმევინებთ-
არ ჩანს ვინმე მართალი,
ხალხმა დღემდე არ იცის
ვინ გვყავს ქვეყნის სარდალი.
ვხედავთ, რომ მაგრები"" ხართ
ერთმანეთის ლანძღვაში,
უმოქმედო სიტყვები
გადაყარეთ შავ ზღვაში.
მიტინგებზე მღელვარებდნენ
კოხტა გოგო-ბიჭები,
მათი დაზიანების დროს
იყვნენ იქ ლიდერები?
ხალხი ამას ყვიროდა
გახარია! წადიო,
დღემდე კი ის არ უთქვამთ
შემცვლელი ვინ არისო,
დღემდე ვერ დაადგინეს
დამნაშავე ვინაა,

მტერი დაუდეგარი
შეიძლება შინაა.
ქვეყნის მართვა-გამგეობა
მარტო მიტინგობაა?
ასე ქვეყნის დამცირება
განა ქართველობაა?
ან გვითხარი რას მოგვიტანს
მტრების მყრალი გინება,
რომც ვიცით ვერ ვერევით
ღირს კი რუსთან შერკინება.
თუმც ამის თქმა არ მინდა
ხვალ გვექნება მეგობრობა,
მაგრამ მათთან მყრალი ქცევით
ნუ შევარცხვენთ ქართველობას.
ნუთუ ქვეყნად აღარ არის
კაცი ბრძენი ჭკვიანი,
საქართველოს გადაწმენდოს
დღეს, რომ არის ტყიანი.
ამას უნდა სხვა კაცი
გამჭრიახი ძლიერი,
ქართველობას კვლავაც მისცეს
ბედნიერი იერი.

სამადლობელი

## ქ. ფოთის მერს, ბატონ გოჩა კურდღელიას

აიპი „სერვისცენტრის" უფროს ბატონ **ვიტალი ბერაიას**
„სერვისცენტრის" განყოფილების გამგეს ბატონ **ალფონზ მეტაქსას**

წყალკანალიზაციის სისტემის გაუმართაობა კარგახანია აწუხებს გაზეთ „ნიკოლაძის გზით" რედაქციას და ამ შენობაში განთავსებულ მობინადრეებს, რის თაობაზეც მიმართეს ქალაქის მერიას. ამ დღეებში ეს თხოვნა დაკმაყოფილდა- გაყვანილ იქნა ახალი არხები, საკანალიზაციო მილები ჩართულ იქნა სისტემაში, რისთვისაც მადლობას ვუხდით ქალაქ ფოთის მერს ბატონ **გოჩა კურდღელიას**, აიპი სერვისცენტრის უფროს ბატონ **ვიტალი ბერაიას** სერვისცენტრის განყოფილების გამგეს ბატონ **ალფონზ მეტაქსას**. ბატონი ალფონზი და მისი სამსახურის თანამშრომლები არაერთხელ დახმარებიან რედაქციას პრობლემების მოგვარებაში, რისთვისაც განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით მათ.



ცალკე უნდა ითქვას რესურსცენტრის თანამშრომლების მონდომებულ მუშაობაზე, რომელთაც ზაფხულის პაპანაქებაში საქმე ბოლომდე მიიყვანეს. ასევე გულითად მადლობას მოვახსენებთ სერვისცენტრის უფროს სპეციალისტს ბატონ **თემურ გუდავაძეს**. წყალკანალიზატორებს - ბატონებს **დავით მირცხულავას, ლევან ხურცილავას, ომარ რუხაძეს, პაატა ნაცვლიშვილს**. ეს მშრომელი ადამიანები კიდევ ბევრჯერ დაიმსახურებენ ფოთელთა მადლობას. დიდხანს სიცოცხლეს და სიხარულს ვუსურვებთ მათ.

იმედია, ქალაქის მერია ისევ გაითვალისწინებს მობინადრეთა და რედაქციის თხოვნას (რომლის 50 წლის იუბილე წელს აღენიშნება) და მოაგვარებს შენობის ფასადის განახლების საქმეს. აღსანიშნავია, რომ ეს შენობა ზღვაზე გასასვლელ ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე მდებარეობს და ელფერს უკარგავს ქალაქის იერსახეს.

გაზეთ „ნიკოლაძის გზით" რედაქცია

სამადლობელი

## კეთილი ადამიანები დევნილებს ეხმარებიან

სამშობლოში ტოლვილებად ქცეულ ადამიანებს ისედაც ათასი გასაჭირი აქვთ, და როცა ამას ჯანმრთელობის გაუარესებაც ემატება, ცხოვრებაც გაუსაძლისი ხდება. უსახსრობა ხელფეხს უკრავს ადამიანებს, მაგრამ არიან ისეთი მოქალაქეები, რომელთაც სხვისი ტკივილი აწუხებთ და როგორადაც შეუძლიათ ეხმარებიან ხალხს. მადლობას ვუხდი გულისხმიერებისა და დახმარებისათვის, საჭირო კონსულტაციის გაწევისათვის თბილისის იურიდიული სამსახურის დირექტორს **რაჟდენ კუპრაშვილს**, ამავე სამსახურის ფოთის ბიუროს უფროსს **ნათია ბოჯგავას** კონსულტანტს **სალომე ჯანღავას** ასევე უდიდეს მადლობას მოვახსენებ **კოტე მარდალეიშვილის** კლინიკის თანამშრომლებს, მკურნალ ექიმს **საშა სულავას**, ბატონ **კოტე მარდალეიშვილს**, რომელმაც ჩემს ქალიშვილს, ირინა წოწონავა-შულგას თავად გაუკეთა ჩიყვის ოპერაცია. ესენი მართლაც ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულნი არიან. რა ბედნიერება და სიხარული მოგვანიჭეს-ვერც კი გადმოგცემთ, მართლაც არაფერია ჯანმრთელობის ფასი, იმრავლოს თქვენნაირმა კეთილმა ადამიანებმა.

ჟორესი წოწონავა
ფოთი-თბილისი, 2019 წელი

მილოცვა

## ირაკლი კიკალეიშვილს




ქალაქ ფოთის რეაბილიტაციის ცენტრის უპოვართა სახლის ბენეფიციართა უფროსს ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებებს პირადი ცხოვრებაში.

განსაკუთრებულ მადლობას მოვახსენებთ ყველას მიმართ გამოვლენილი სიყვარულის, სითბოსა და ყურადღებისათვის.

მადონა და ნინო ანდრიაძეები.

**სიყვარულის, მეგობრობისა და ვაჟკაცობიბის ეტალონი**

## დემურ ნოდიას მოგონება



ვიგონებთ კიდევ ერთ კარგ ფოთელს, რომელიც ძალზე დააკლდა მის თბილ და სანიმუშო ოჯახს, მეგობრებს, ქალაქს. დემური ნოდია მართლაც, რომ კარგი და გამორჩეული ფოთელი იყო, გაჭირვებაში და ობლობაში გამოზრდილ ბიჭს უმაღლესი განათლება არ ქონია, მაგრამ ჰქონდა: შრომის მოყვარეობა, კაცთმოყვარეობა, სტუმართმოყვარეობა, ახლობელთა და მეგობართა სიყვარული, საშველად ხელისგაწვდომის-ერთგულების-თავდადების ნიჭი და მისადმი გაკეთებული სიკეთის არდავიწყება. ამ უძვირფასეს თვისებებს მხარს უბამდა მისი მეუღლე ქალბატონი ნელი ნაკაშიძე-ნოდია, რომელებმაც ერთად 43 წელი განვლეს.

დემური ნოდია დაიბადა 1944 წლის 24 სექტემბერს ფოთში. მარტოხელა ქალბატონმა ზინამ პატიოსნად აღზარდა სამი შვილი-დემური, ნარი და რევაზი. ძირ ოჯახში უმცროსი ძმა რევაზი დარჩა, დემურიმ კი, რომ იტყვიან თავისი დაუღალავი შრომით ააგო 2 სართულიანი სახლი, მთავარი ეს არაა, მთავარი ისაა, რომ მისი სახლის კარი მუდამ ღია იყო სტუმრისთვის, ახლობლებისთვის, მეგობრებისთვის. დემური ხუმრობით იტყოდა ხოლმე- პურმარილით შეძლება ვერ გაგაკვირვოთ, მაგრამ ღვინით ნამდვილად გაგაკვირვებთო. მართლაც დემური ვალს აიღებდა, საუკეთესო ჯიშის ყურძენს იყიდდა და თავისი ხელით სუფთა ღვინოს ამზადებდა. (ამ საქმეში პარტნიორობას უწევდა მისი საყვარელი მეგობარი გურამ კორტავა). დემურის მრავალ მისაბაძ თვისებებს შორის გამოვყოფდით კიდევ ერთს-მას არ გამორჩებოდა ქალაქში შორეული ნათესავის თუ უბრალოდ ნაცნობის დაკრძალვა. ახლობებზე და მეგობრებზე ლაპარაკი ზედმეტია. ამ დროს მისთვის არ არსებობდა სიშორე, ამინდი თუ სხვა დაბრკოლებები. ასეთი უზომო იყო მისი კაცთმოყვარეობა შინ და გარეთ.

დემურის სფერო იყო მშენებლობა, მას სადაც კი უმუშავნია, მუდამ სიყვარულს თესავდა თავისი პატიოსნებით, შრომისმოყვარეობით.

დემურიმ ნელისთან ერთად მართლაც, რომ სანიმუშო ოჯახი შექმნა. მათ გულს უხარებდათ ერთადერთი ქალიშვილი ეკა და ორი შვილიშვილი -თენგო და რუსო.

დემურის ვერ ნახავდით მოწყენილს, მას თავისი როხროხა ხმით მუდამ სიხალისე შემოჰქონდა, ცდილობდა მისი მეგობრები კარგად წარმოეჩინა და კარგად დაეხასიათებინა ისინი ზურგს უკან. ასევე პირუთვნელად, მოურიდებლად გამოხატავდა რომელიმე მათგანის ცუდ ქმედებასაც.

დემურის ბოლო პერიოდში ცხოვრებამ უმუხტლა, მძიმე სენით დაავადდა მეუღლე, რომელიც ხანგრძლივ მკურნალობას გადიოდა. ამას დაემატა დემურის უმუშევრობა, მაგრამ მეგობრებში ადრე დათესილმა სიკეთემ სანთელ-საკმეველი არ დაკარგა, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაეცვალა მეუღლე, მაგრამ მის გარდაცვალებამდე თვითონ დემურის შეეყარა უკურნებელი სენი და მეუღლის გარდაცვალებიდან სულ რაღაც ორმოცდაათ დღეში, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მისი სული შეუერთდა მეუღლის სულს ზეციურ სასუფეველში.

იყავი მშვიდად ჩვენო საყარელო დემურ (ჭურჭი). შენს ნაკვალევს შენ, რომ გაგეხარდება ისე, მიიკვლევს შენი საყვარელი შვილი ეკა, მას უკვე მხარში უდგას შენი შვილიშვილი თენგო, რომელმაც დაამთავრა ინსტიტუტი და მუშაობს წარმატებულად. მალე მათ შეუერთდება მეორე შვილიშვილი რუსოც, რომელიც უკვე მეორე კურსზეა, დაამთავრებს ინსტიტუტს და გაძლიერდება-გამრავლდება შენი საყვარელი ოჯახი-ობლის კვერი ცხვა, ცხვაო და... გამოცხვება ისე, როგორც შენ გინდოდა ჩვენო დემურ.

ჩვენ შენი მეგობრები 24 სექტემბერს უშენოდ მეორეჯერ შევიკრიბებით, ავანთებთ სანთელს და ვაპკურებთ ღვინოს შენს და ნელის საფლავს.

ღმერთმა ნათელში გამყოფოთ ჩვენო საყვარელო მეგობარო.

მეგობრების სახელით:

**ნაპო თოდუა, ბეჟან ჯალაღანია, ჟერონ შუბითიძე, გურამ კორტავა, ზაირა ჩხარტიშვილი, ხვიჩა დოლბაია, ომარ ხუხუნი, როინ ცხადაძე...**

# სპორტი სპორტი სპორტი

## ქ. ფოთში გაიმართა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები



მიმდინარე წლის 12 აგვისტოს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ მალთაყვის პლაჟის სანაპირო ზოლზე და პლაჟზე გაიმართა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები ორჭიდში (კროსი+ველოგარბენი) ვაჟთა და გოგონათა შორის პლაჟის ფეხბურთში და პლაჟის ფრენბურთში. ორჭიდში ვაჟთა შორის გამარჯვება მოიპოვა ნიკო ჩაგანავამ, მეორე ადგილი დაიკავა საბა მარღანიამ, ხოლო მესამე ადგილზე გავიდა ალექსი აივაზიანი. გოგონათა ასპარეზობაში მარი კუხალაშვილმა ტოლი არავის დაუდო და მოიპოვა გამარჯვება, მეორე ადგილი დაიკავა თამუნა მიქაძემ, ხოლო მესამე ადგილი მოიპოვა მარი ხლუდენკომ.

პლაჟის ფეხბურთში მონაწილეობა მიიღო ოთხმა გუნდმა: ,,არისტოკრატები'' - პარკის უბანი, ,,ბლანკო'' – ნაბადის უბანი, ,,შუქურა'' კუნძულის უბანი და სამოყვარულო ფეხბურთის გუნდი ,,ჭაბონამა''.

ფინალურ ორთაბრძოლაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ,,ჭაბონამა'' და ,,არისტოკრატები''. მატჩი გამოდგა სანახაობრივი, მაგრამ გამოცდილებამ თავისი გაიტანა და საბოლოოდ გამარჯვება მოიპოვა ,,ჭაბონამა''-მ.

ასევე სანახაობრივი გამოდგა თამაშები პლაჟის ფრენბურთშიც. ფინალურ ორთაბრძოლებში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მოყვარულთა გუნდები ,,ტოპკა'' და ,,მაშველები'' ანგარიშით 2:1. გამარჯვება წილად ხვდათ ,,ტოპკა''-ს ფრენბურთელებს. გამარჯვებულ მონაწილეებს გადაეცათ თასები, დიპლომები და მედლები. გამარჯვებულები და საპრიზო ადგილებზე გასული მონაწილეები დააჯილდოვა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ბატონმა მამუკა პაპასკირმა.

**,,სიცოცხლე კაცად ყოფნის სევდა ყოფილა''**

## რევაზ ხოფერიას გახსენება



ჩვენო რევაზ, უკვე მეხუთეჯერ ვიხდით შენს დაბადების დღეს უშენოდ, ძალიან აკლიხარ შენს კარგ ოჯახს, ნათესავებს, ახლობლებს და მეგობრებს. შენ ხომ შუა გზაზე ჩაგიტყდა ხიდი ულმობელი ავადმყოფობით, შენ ხომ ბევრი რამ დაგრჩა გაუკეთებელი. თუარადა, როგორ გიყვარდა ფუსფუსი თავისუფალ დროს ოჯახში და აგარაკზე.

ვის არ უყვარს ოჯახი, მაგრამ რევაზის განსაკუთრებულად უყვარდა მეუღლე, ქალბატონი ხათუნა კირცხალია-ხოფერია. შვილები ნინო, თამარი და თორნიკე, შვილიშვილები. განსაკუთრებით შეჰხაროდა თორნიკეს მომავალს, მის სპორტულ კარიერას, ასევე უზომო იყო მისი სიყვარული მეგობრების მიმართ, იგი მუდამ იმას ფიქრობდა ვის, როდის და როგორ დახმარებოდა.

რევაზი დაიბადა ქ. ფოთში, 1956 წლის 28 აგვისტოს, სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა დაუსწრებლად განაგრძო ქ. ხარკოვში, იქვე მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდა თავის მშობლიურ ქალაქს და მუშაობა დაიწყო ტრესტ ,,კოლხიდმშენის'' სისტემაში ეკონომისტად. 1990 წლიდან იგი მუშაობას იწყებს ფოთის საზღვაო ნავსადგურში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. მან თავისი შრომისმოყვარეობით, კეთილსინდისიერებით და ტკბილი დამოკიდებულებით მთელ კოლექტივს შეაყვარა თავი. რევაზი შრომით საქმიანობას კარგად უთავსებდა ნადირობას, თევზაობას და სპორტს, იყო მუდამ სიახლის მაძიებელი, მას ბევრი რამის გაკეთება ჰქონდა გათვალისწინებული.

ძმაო რევაზ, იყავი მშვიდად, შენს გასაკეთებელს მარტოხელა აკეთებს და წარმატებით უძღვება შენი უზომოდ მოსიყვარულე მეუღლე, ქალბატონი ხათუნა. როგორც შენ გიყვარდა, ისე აქვს მოწესრიგებული ურთიერთობა შვილებთან, სიძეებთან, შვილიშვილებთან, ახლონათესავებთან და შენს მეგობრებთან. ვაჟიც ხომ სანაქებო გყავს. ის ახლა მეორე კურსზეა და მალე ჩაებმება შრომით ფერხულში. გჯეროდეს მას ყურადღებას არ მოაკლებენ შენი მეგობრები.

ქვეყნის სამსახურისთვის, სიკეთისათვის ნათელში გამყოფოს მაღალმა ღმერთმა.

ჩვენ კი, შენს მეგობრებს ისღა დაგვრჩენია, სანთელი ავანთოთ და ღვინო ვაპკუროთ შენს საფლავს ჩვენო საყვარელო მეგობარო.

ფოთის საზღვაო ნავსადგურის მეგობრები.


## მხატვრული ხედვა, ახალი დიზაინი



*თუ გინდათ თქვენი სამუშაო ადგილი, ოფისის გარე ხედი, ინტერიერი გაალამაზოთ, მიმართეთ სარეკლამო სამსახურს.*

*თქვენს დაკვეთას შეასრულებს მხატვარ-დიზაინერი რევაზ ჭანტურია.*

*ტელ: 551 94 00 48 (რიონის სანაპირო, ბაზრის ტერიტორია)*

## განცხადება:

**იყიდება ორსართულიანი კაპიტალური სახლი ქალაქის ცენტრში, განაშენიანებული ეზოთი.**

**მის:იერუსალიმის №4**

**ტელ: 551 499 555**


**ნომრის სპონსორია შპს ,,ტოტალის''დირექტორი ბატონი ნუგზარ ბარამია,რისთვისაც მადლობას ვუხდით მას.**

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში“ E-mail: k.khobalia@gmail.com

რედაქტორი ზ. აბრალავა